

საქართველო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყავა, ფუილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანბნბაგუ უსბაგულსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი-სამშაბათი, 12-13 აპრილი. 2021 წ. №77-78 (9196-9197)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

გვიმრავლოს!

ევროპას მოსკოვიდან გაღმოსავლა!



პლანეტის უღონიერეს ადამიანს –
ლაშა ტალახაძეს ტიტულები არ აკ-
ლია, მაგრამ მოსკოვში, ირინა ვინერის
სახელობის დარბაზში მოპოვებულ
გამარჯვებას მაინც სხვა ფასი აქვს.

გუშინ რუსეთის დედაქალაქში
გამართული ძალოსანთა ევროპის
ჩემპიონატის ფინიშზე სწორედ მი-
სი მორიგი ტრიუმფის აღსანიშნავად აუღერდა
საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, თანაც, რო-
გორც ყოველთვის, ისე, რომ მეტოქეთათვის
წარმატების ოდნავი შანსიც კი არ მიუტცია.

27 წლის გოლიათი „ჯვაროსნის“ დიდი უპირა-
ტესობა პირველივე მოძრაობაში – ატაცში გამო-
იკვეთა, რომელიც მან საკუთარი მსოფლიოს რე-
კორდის – 220 კილოგრამის გაუმჯობესებით –
222 კგ დაასრულა.


მისმა უახლოესმა მდევრებმა – სომეხმა
შტანგისტებმა გორ მინასიანმა და ვარზადატ
ლალაიანმა ფორუმის მცირე „ვერცხლი“ და
„ბრინჯაო“, შესაბამისად, 216 და 205 კილოგ-
რამით დაიმსახურეს.

უთანასწორო ბრძოლის სურათი არც აკვრამი
შეცვლილა: ტალახაძე – 263 კგ, მინასიანი – 248 კგ,
ლალაიანი – 245 კგ.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის კაპიტანი ირაკ-
ლი თურმანიძე ატაცში ტრავმის გამო შეუფა-
სებელი დარჩა, რადგან 191 კგ ვერ დაძლია და
ფიცარნაგზე აღარ გამოსულა. აღსანიშნავია,
რომ ან უკვე კონტინენტის ხუთგზის გვირგ-
ვინოსანმა მსოფლიოს რეკორდი ორჭიდშიც
დაამყარა – 485. ვიმედოვნებთ, ჩვენი ცოცხალი
ლეგენდა ზღაპრულ მიჯნას – 500 კგ ოლიმ-
პიურ ტოკიოში დაძლევა. **გუნდური ჩათვლა:**
უკრაინა – 10, ბულგარეთი, საქართველო – 8-
8 „ოქრო“.

ერთხელ ანთებულ პარსკვლავი აღარ ქრება...

დიდი
მსახიობის
გარდაცვა-
ლებიდან
50 წელიწადი
გასულა...



სერგო
ზაქარაიძე –
ქრეონი

ხელთვენიის სფეროს
წარმომადგენლის, მით უფ-
რო გამოჩენილი თეატრ-
ლური მოღვაწის უკანასკნელ
გზაზე გასივლელს მისი ტა-
ლანტის თაყვანისმცემლები,
გულწრფელ წეხილსა და სი-
ნანულის დაუფარავ ცრემ-
ლთან ერთად, როგორც წე-
სი, მხურვალე აპლოდისმენ-
ტებითაც გამოხატავენ. თუმცა
სერგო ზაქარაიძის 1971
წლის 17 აპრილს რუსთა-
ველის თეატრიდან უკანას-
კნელ გზაზე გასივლელს პრო-
ცესი გასივლელის მასშტაბური
და რეზონანსული დატვირ-
თვის იყო – ის ერთმნიშ-
ვნელოვნად ეროვნული გლოვის გამოხატუ-
ლება გახლდათ – თეატრი, მის გარეთ რუს-
თაველის გამზირი და მიმდებარე ქუჩები ვერ
იტევდა მგლოვიანე ადამიანებს. მისი შე-
მოქმედების თაყვანისმცემელი უამრავი ადამიანი, რომლებიც ჯერ
კიდევ სულ ცოტა ხნის წინ მისი სცენაზე და ეკრანზე ხილვით უზარ-
მაზარ სიამოვნებასა და სიხარულს ლეგულობდა, ახლა საოცრად
დანადგლიანებული, სევდიანი, გაკვირვებული და შოკირებული იყო
მომხდართი და რუაქციაც შესაბამისი შექონდათ. ისინი არ იმურებდნენ
ცრემლის პოპულარობის პიკზე მყოფი მსახიობის ასე მოულოდნე-
ლად და უღწოდოდ გარდაცვალების გამო.

შეიძლება თამამად თქმა, რომ არც მანამდე და არც მის შემდეგ
ვინმეს გარდაცვალების გამო მეოცე საუკუნის ოციათი წლებიდან
თბილისი ასე ერთსულოვნად მგლოვიანე და დამწუხრებული თით-
ქმის არ ყოფილა. იმ დღეს მილიციის მუშაკებს პროფესიული უნარ-
ჩვევების, მონდომების და ძალისხმევის სრული გამოვლენა დას-
ჭირდათ, რომ დიდი მსახიობის უკანასკნელ გზაზე გასივლელის სურ-
ვილის მქონე უზარმაზარი და უკონტროლო მასის მოძრაობა ჭყლე-
ტაში არ გადაზრდილიყო. – მეორე დღეს შინაგან საქმეთა მი-
ნისტრთან გამართულ ოპერატიულ თათბირზე საზგასმით აღინიშნა
სამინისტროს თანამშრომელთა ეფექტიანი მოქმედება დიდი მსა-
ხიობის უკანასკნელ გზაზე გასივლელის მსურველთა მოძრაობის უსაფ-
რთხოვების უზრუნველყოფაში, აგრეთვე ამ ამოცანის შესრულე-
ბაში ოთხ ათეულამდე თანამშრომლის სხეულის სხვადასხვა სიმძიმის
დაზიანება და წესრიგის დაცვას შეწირული უნიფორმა...

ნბ. 6-7 გვ.

სიბრძნე სიკულვილისა



რა ელის რუსეთს
უკრაინასთან
ომის
შეერთებაში?!

ჩვენი საერთო მომავალი სსსრკზე დგას! პრავის მარცხი პრავის გამარჯვება არ იქნება!

საქართველოს პრეზიდენტის – სალომე ჯუღაშვილის 2021 წლის საპარლამენტო მოხსენება



დღეს ვიპრობავით სა-
ქართველოს პარლამენტში,
სადაც სწორედ 30 წლის წინ
და ამ დროს პრეზიდენტად,
ხელი მოეწერა საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის
აღდგენის აქტს. ეს დღე
აპირაჩივ წლიური მოხსენა-
ვისთვის, რამეთუ ეს თარი-
ღი დაკავშირებულია ჩვენი
ქვეყნის უახლესი ისტორი-
ის უმნიშვნელოვანეს მოვ-
ლენებთან.

9 აპრილი უფრო სწორად გა-
იგივებულია 1989 წლის ტრაგე-
დიასთან და გლოვასთან. თუმცა,
1991 წლის 9 აპრილმა დაძლია ეს
ტრაგედია და გადააქცია გამარ-
ჯვების სიმბოლოდ. სახელმწი-
ფოსთვის ეს დღე სამმაგი გამარ-
ჯვების დღეა!

პირველი იმიტომ, რომ 9 აპ-
რილის მშვიდობიანი მოქალა-

ქეები, რომლებიც რუსულ ტან-
კებს არ შეუშინდნენ და ხელი-
დან არ გაუშვეს სამფეროვანი
დროშა, არიან გამარჯვების წი-
ნამორბედები. ამიტომ ჩვენ მათ
პატივს უნდა ვცემდეთ არა რო-
გორც მსხვერპლს, არამედ რო-
გორც გამარჯვებულებს. მათი
გამარჯვებაა ის, რომ 30 წლის
შემდეგ საქართველო დამოუკი-
დებელი სახელმწიფოა!

მეორე იმიტომ, რომ 9 აპრი-
ლი მოჰყვება 31 მარტს, ანუ რე-
ფერენდუმის უდიდეს გამარჯ-
ვებას, რომლითაც საქართვე-
ლომ თავისი ერთსულოვანი ნე-

ბა გამოხატა. მაშინ არც დამ-
კვირვებლები გვჭირდებოდა,
არც გადათვლები და ვერავინ
დააყენებდა ეჭვქვეშ (და ვერც
დააყენა) ჩვენს ერთობლივ გა-
დანწყვეტილებას – ქვეყანა გა-
მოცხადებულიყო დამოუკი-
დებელ სახელმწიფოდ. ეს იყო
გამარჯვება – 70-წლიან საბ-
ჭოთა იდეოლოგიასა და ტო-
ტალიტარულ სისტემაზე. სის-
ტემაზე, რომელიც ყველა სა-
შუალებით ცდილობდა (დღე-
საც ვიპოვებთ ამის ზოგ შედეგს),
დაეჭვებინებინა, დაეშალა სა-
ქართველო და ერთმანეთთან
დაეპირისპირებინა საქარ-
თველოს მოქალაქეები.

მესამე იმიტომ, რომ 9 აპ-
რილს მიღებული დამოუკი-
დებლობის აქტი ნიშნავს,
რომ ყველამ ერთად გაიმარ-
ჯვა – 1921 წლის იუნკრებმა,
1923 წელს დახვერტილმა
ოფიცრებმა და საქართველოს
პატრიარქმა ამბროსიმ, 1922,
1923, 1924 წლების აჯანყებუ-
ლებმა და ცხადია, 9 აპრილის
გმირებმა და ზვიად გამსა-
ხურდიამ. გაიმარჯვეს ბევ-
რად უფრო ღონიერ მტერზე
(და შეგნებულად არ ვამბობ
„ძლიერ“) და აღდგა საუკუნო-
ვანი ისტორიის მქონე სახელ-
მწიფო.

ნბ. 2-3 გვ.

ჩვენი საერთო მოგაპალი სასწორზე დგას! არაპის მარცხი არაპის გამარჯვება არ იქნება!

(პირველი გვერდიდან) 9 აპრილის გამარჯვება იმაშივე ვლინდება, რომ სწორედ 1918 წლის სახელმწიფოს სამართარღმკვიდრედ აღდგა საქართველო, ანუ (და ამას ხაზგასმა სჭირდება) – ჩვენი სამართლებრივი ისტორიიდან მონობის და გაუცხოების 70 წელი ამოიშალა. ჩვენ მიერ განვლილი 30 წელი ამის მეორე იყო რთული წლები – კონფლიქტების, ომის, ძმათა დაპირისპირების, ტერიტორიების ოკუპაციის, მსხვერპლის – მაგრამ შეუფერხებელი წინსვლის, განვითარებისა და საკუთარ ეროვნულ და ევროპულ გზაზე დაბრუნების!

არ შეიძლება დღეს და აქ წარმოთქმული ჩემი სიტყვა იყოს წარსულის მიმოხილვა. ჩვენი წარსული იმდენად ღირებულა და იმდენად უნდა ვიცოდეთ და გავინტერესებდეთ, რომ დღესაც ის ქმნის ჩვენი დღევანდელი და ხვალისდელი დღის ნიშანს: ის ან ერთმანეთს გვაშორებს და გვასუსტებს, ან, პირიქით, გვაერთიანებს და გვაძლიერებს!

სწორედ ამიტომ არ შეიძლება აღვნიშნავდეთ 9 აპრილს და ამავდროულად არ გვესმოდეს, რომ ჩვენი ერთადერთი ძალა მხოლოდ ერთად დგომავშია.

ერთიანობა ვერ მოიპოვება დაძალებით, ვერც სხვისი მონობით. ეს გზა განვლილი გვაქვს და აღარ დავუბრუნდებით. მაშასადამე, მრავალფეროვნება, მრავალაზროვნება, ასევე, მრავალპარტიულობა, ამ ერთიანობის განუყოფელი ნაწილია და ამას თავისუფლება უჭირავს. ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ დათმობაც, სხვისი აზრის გათვალისწინებაც და თუ არა ეს, სულ ცოტა, გაგება მაინც, და ქვეყნის ინტერესების ჩვენს პირად, პარტიულ თუ სხვა ინტერესებზე მაღლა მუდამ დაყენება!

ჩვენმა წარსულმა გვასწავლა, რომ ვიმარჯვებთ მაშინ, როცა ერთად ვართ, და არა პირიქით – როცა ორ ბანაკად ვართ გაყოფილი და არც ერთ მხარეს არ სურს მოისმინოს მეორის მოსაზრებები. 9 აპრილი ამის დასტურდება.

დღეს, როცა ქვეყანა ურთულესი გამონეგების წინაშე დგას, საკუთარ ისტორიულ გამოცდილებებს უნდა ენდოს და ერთობის გზა მონახოს.

ამიტომ მიინდა შევეხო დღეს ყველა იმ თემას, რომელიც ჩვენი საზოგადოებას აძლევს, რომლის მიმართ ხშირად ვართ გაყოფილი თუ დაპირისპირებული და რომლის გადანაცვებაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ერთობაზე გადის.

უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე დგას საქართველოს ჯანდაცვა ისევე, როგორც მთელი მსოფლიო ჯანდაცვა და ის გამოწვევა არის პანდემია.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ მასშტაბის კატასტროფას მარტო გაუმკლავდება, ან რომელიმე პოლიტიკური ძალა სხვისი მარცხით გამარჯვებული დარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ვითარებისა არაფერი გვესმის და არც ეროვნული პასუხისმგებლობის განცდა გავგაჩნია. ხომ უნდა ვხვდებოდეთ, რომ ახლა ნიშნის მოგების დრო აღარ არის, ან ერთად გადავრჩებით ან ვერა.

აქ საჭირო არის პოზიციების და რჩევების, ცოდნისა და გამოცდილების შეჯერება. ასეთ დროს კი სრულიად მიუღებლად მიმჩნია, როცა ყოველგვარი ჰუმანურობისა თუ თანაგრძობის გარეშე, უცხოეთში მოღვაწე ზოგიერთი ქართველი ქვეყნის სტრატეგიის მხოლოდ აკრიტიკებს, არაფერს სთავაზობს და ამით თესავს უნდობლობას და უიმედობას. ისიც მიუღებელია, როცა ქვეყნის შიგნით ცნობილი ადამიანები, სოციალური ქსელების მეშვეობით, ვაკცინაციის უკუშედეგებზე უარყოფით ინფორმაციას ავრცელებენ და ამით უნდობლობასა და შიშს ზრდიან.

ყველამ ვიცით, რომ იშვიათი შემთხვევები ყველა ვაკცინაციის კამპანიას თან ახლავს, მაგრამ ვაკცინაციის გარეშე დაავადების საფრთხე ბევრად დიდია. ამ ვითარებაში გვემართება უფრო გონივრული,



ვიდრე ემოციური გადანაცვებები, მეტი სოლიდარობა, მეტი კეთილსინდისიერი ჩართულობა – ყველასი, ვისაც რამე შეუძლია, თუნდაც ვაკცინების მოპოვების კუთხით.

უნდა გვესმოდეს, რომ დაავადებაზე დროული გამარჯვება ვერ და არ ჩაითვლება რომელიმე ხელისუფლების ან პარტიის გამარჯვებად. ეს უნდა იყოს საზოგადოების გამარჯვება, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ერთიანი და პასუხისმგებლიანი მიდგომით. ასეთი მიდგომის მაგალითი გვაჩვენა პატარა ქვეყანამ ისრაელმა, რომელმაც მთლიანობაში კარგად გაიაზრა, რომ სოლიდარობა და ერთიანობა განაპირობებს ეკონომიკის გადარჩენას და თითოეული ოჯახის ხვალისდელი კეთილდღეობას.

მიმჩნია, რომ ერთიანობისკენ გადაღებული პირველი ნაბიჯი არსებული რეგულაციების ყველაზე ერთნაირად გავრცელებაა.

ყველგან – ფეხბურთის სტადიონზე, ნოვრუზის დღესასწაულზე თუ ეკლესიაში ნირვაზე, ან კიდევ პოზნერის ნადიმზე თუ ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი გადადებულ ქორწილებში, დაბადების დღეებზე, საპროტესტო აქციებზე თუ სხვა საზოგადოებრივ თავყრილობებზე. მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ ჰყოფნის, თითოეული მოქალაქის შეგნებაზე, პირბადეს ტარებაზე, დროულ ვაკცინაციაზე და გაფრთხილებაზე გადის ჩვენი საზოგადოების ბედი.

ერთიანი მიდგომისა და სოლიდარობის განცდის გარეშე ვერც ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობას დავიცავთ და ვერც ეკონომიკას გავცხნით და გადავარჩენთ.

მეორე ასეთივე უდიდესი გამოწვევა ქვეყნის ეკონომიკა და კრიზისის გადალახვაა.

საზოგადოება ამ საკითხთან მიმართებაშიც გაყოფილია. ზოგი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა უნდა იყოს აბსოლუტური პრიორიტეტი და აღარ უნდა დაწესდეს არც ხელახალი ჩაკეტვა, არც შეზღუდვები. ზოგი კი აბსოლუტურ უპირატესობას ჯანმრთელობას და ადამიანთა სიცოცხლეს ანიჭებს.

ამ კრიზისის დაღწევაში, სოლიდარობა ისე გვეჭირდება როგორც არასდროს. ერთიანი ძალისხმევით, ინკლუზიური მიდგომებით და სოციალური პასუხისმგებლობით ვეცადოთ ერთდროულად ეკონომიკის გადარსებას, ინვესტიციების მოზიდვა და მაქსიმალურად ხელი გაავსოლოთ სოციალურად დაუცველ ფენებს ჩვენი საზოგადოებისა. ამ ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზეც ვხვდებით საზოგადოების მხრიდან დაპირისპირე-

ბულ პოზიციებს. ერთი ასეთი მაგალითია ნამახვანძუსთან დაკავშირებით მიმდინარე დაპირისპირება.

ერთი მხრივ ის საზოგადოება, რომლის ნუსხილიც ძალიან კარგად მესმის და თანავუგრძნობ, ითხოვს ჩვენი ბუნებრივი რესურსებისა და მიწის დაცვას უხეში ჩარევისა და ზემოქმედებისგან. ადგილობრივი მოსახლეობა, და არა მხოლოდ ის, აპელირებს იმ საფრთხეებზე, რომელიც ემუქრება ზოგადად ეკოლოგიას, რეგიონში სოფლის მეურნეობას, მეღვინეობისა და ტურიზმის პოტენციალს.

მეორე მხრივ კი, ვინც ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის გადარსებასა და ენერგოდამოუკიდებლობას ანიჭებს უპირატესობას და ადამიანის სიღატაკიდან თავის დაღწევაზე აპელირებს.

ორივე მხარეს აქვს ძლიერი არგუმენტები. უალტერნატივოდ მიმჩნია ორივე მოსაზრების გათვალისწინება და შეჯერება. ამისათვის საჭიროა მეტი კომუნიკაცია, მეტი საჯაროობა, მეტი გაანალიზება ყველა არგუმენტის და ყველა შესაძლო საფრთხის. სასურველია, შეიქმნას სახელმწიფო კომისია, სადაც ეკონომისტები, ენერგეტიკოსები, ბუნების დამცველები, ადგილობრივი მოსახლეობა და უცხოელი ექსპერტები ერთად განიხილავენ არა მხოლოდ ამ კონკრეტული შვის ბედს, არამედ მომავალ გეგმებსა და პერსპექტივას ენერგეტიკის მიმართულებით. ასეთი მსჯელობა მაქსიმალურად გასაჯაროებული უნდა იყოს. თუ საჭიროდ ჩათვლება, პრეზიდენტის სასახლის პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მიზნისთვის.

მისამდე და უმთავრესი გამოწვევა ჩვენი მთავარი მიზნების ბოლომდე მიყვანა – ევროატლანტიკური ინტეგრაცია და დემოკრატიზაცია.

ეს არის გამოწვევა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია ქვეყნისა და საზოგადოების გასღერასთან. ყველამ, თეორიულად მაინც, ვიცით, რომ დაუშვებელია ამ თემებზე ჩვენს შორის აზრთა ნებისმიერი სხვადასხვაობა, რამეთუ ეს მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს.

1921 წლის პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფ ქართველებსაც ჰქონდათ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და დაპირისპირებაც ხშირი იყო. თუმცა, გაერთიანებულები იყვნენ ერთი მიზნის ირგვლივ – საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკრალური მიზნის ირგვლივ.

მიუღებელია, დღეს, როცა ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის, ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანებას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს, რომელიმე პოლიტიკური ძალა ცდილობ-

დეს დასავლურობაზე მონოპოლია მოიპოვოს და სხვას, ვიცყოდი ყველას, პრორუსული უწოდოს, ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენი ერთსულოვნება ოკუპაციისა და სტრატეგიული ორიენტაციების საკითხებში და ამით გაამართლოს თავისი ამბიციები.

ვერ წარმოვიდგენია, რომ ქვეყნიდან, რომელიც ოკუპაციის ებრძვის, რომლის მტკიცე პარტნიორები ვეროპა და ამერიკა არიან, მისივე მოქალაქეებისგან სწორედ ამ ქვეყნებში მიმდინარეობდეს საქართველოს ინტერესების საინააღმდეგო, სრულიად უღირსი კამპანია, დისკრედიტაცია და ლობირება თუნდაც სანქციების დაწესების მიმართულებით.

ვილაც შეიძლება მიიჩნევდეს, რომ ამით ასუსტებს პოლიტიკურ კონკურენტს და აძლიერებს საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს. მაგრამ, ვინც იცნობს ევროპას და ამერიკას, კარგად ესმის, რომ ეს ასე არაა და რეალურად ზარალდება ქვეყანა, მისი სამომავლო პერსპექტივა, მისდამი დღევანდელი მხარდაჭერა ოკუპაციასთან ბრძოლის, ეკონომიკური გაძლიერების თუ რეალური ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში.

ამიტომ ოპოზიციას მოეთხოვება გამოიჩინოს მეტი შეგნება. მოეთხოვება უარის თქმა განწყობაზე: ჩემს შემდეგ თუ ჩემს გარეშე, რაც გინდა მომხდარა. თუმცა, არანაკლებ საჭირო არის ხელისუფლების მხრიდან იმის გაგება, რომ რაღაც საკითხებში, ბოლომდე შეთანხმება თუ არა, სულ ცოტა, წინასწარ გაფრთხილება და კონსენსუსის მიღწევის მცდელობა მაინც უნდა იყოს.

მაგალითად მოვიყვან 2024 წლისთვის ევროკავშირში ჩვენი კანდიდატურის წარდგენის თემას, რაც, არა თუ ოპოზიციასთან, ქვეყნის პრეზიდენტთანაც კი არ ყოფილა განხილული. თუ ასეთი მომავალს ერთად არ შევქმნით, ვერც ოკუპაციის დაძლიერება შევძლებთ და ვერც ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

აღარ გავშუშებ ხაზს იმას, რომ ოკუპაციის თემა გვწვავს საკრალური თემა, და, გავაზავებ, ამ თემასთან დაკავშირებით არ უნდა ისმოდეს აბსურდული ბრალდებაები ერთმანეთის მიმართ: „არაფერს აკეთებან“ ან კიდევ „ენგურის სიდი ჩაქაბან“ – განსაკუთრებით მათ, რომც ძალიან პარტიალურად, ვინც ჩაქაბა ენგურის სიდი და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი.

მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ და მეტი სიფრთხილით მივუდგეთ ყველა შესაძლო მანიპულირებას, რომლის ინიციატივაც შეიძლება ქვეყნის გარედანაც მოდიოდეს. ასეთი სიფრთხილე რომ გამოგვეჩინა, არ მივიღებდით არც პოზნერის ვიზიტით გამოწვეულ ვნებათაღელვას და არც გავრცელებულ მიუშვებდით პარლამენტის თავმჯდომარის საჯაროებში.

ყველა ამ უმწვავესი საკითხის გადანაცვება მოითხოვს ამ პროცესში პოლიტიკური პარტიების მონაწილეობას, მათი პოზიციების დაფიქსირებას. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ პოპულიზმითა და მოკლევადიანი პოლიტიკური ლოზუნგებით კი არა, შეჯერებული პოზიციებით და გონივრული კომპრომისებით გადამწყვეტ ქვეყნის სამომავლო პრიორიტეტები. ამ საკითხებისადმი მიდგომა წარმოაჩენს პოლიტიკური ლიდერის პასუხისმგებლობას ქვეყნის მიმართ.

ამ უმწვავესი გამოწვევის წინაშე კიდევ უფრო გაუმჯობესება არსებული პოლიტიკური დაპირისპირება, პოლიტიკური და ამ გამოწვეული მდგომარეობიდან ვერ თუ არ გამოვალა.

ჩვენი უცხოელი პარტნიორები, როგორც ჩანს, ჩვენზე უკეთ ხვდებიან, რამდენად საჭირო და გარდაუვალია ამ კრიზისის დაძლიერება. მართალი გითხრა, დიდი იმედი მექონდა, რომ დღეს – 9 აპრილს – შევძლებდით კიდევ ერთი აჯურის დადებას ჩვენი მომავალი პრიორიტეტები. შევძლებდით საერთო ინტერესების დანახვას და ქვეყნის მომავლისთვის მთავარის და მეორე ხა-



ვილის მხარდამჭერი გამოხედომები, ხელისუფლების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობები ავიღოთ, პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ აღვირახსნილი, უკიდურესად სიძულვილით გაჟღერებული და ღვარძლით, შხამით მოწამლული კაცის შიგთავსით გაჯერებული. ამ და მისი მსგავსი კაცების სიძულვილი და სიძულვილი, დღეს უმდიდრესი ძველანა ვიქტორიით.

ბრამბტიკა ენის შემსწავლელი მეცნიერება.
მისთვის ერთნაირად საინტერესო ცნებებია სიყვარულიც და სიძულვილიც.

მე მიყვარს,
შენ გიყვარს,
მას უყვარს...
მე მძულს,
შენ გძულს,
მას სძულს!

ეს ადამიანები ანსხვავებენ მათ ერთმანეთისგან: თუ მე მიყვარს და შენ გძულს, ჩვენ ერთნაირად არ ვაზროვნებთ, სხვადასხვა ნაპირზე ვდგავართ, მეგობრები ვერ ვიქნებით.

მით უფრო მაშინ, თუ შენ გძულს არა მხოლოდ ერთი რამ, არამედ ყველაფერი, რაც მე მიყვარს.

და ეს ძალიან ხშირად ხდება. შეგიძლებს ვინმე მანქურთი და მორჩა, კარგს ვეღარაფერს დაინახავს შენსას, არა თუ ვერ დაინახავს, სპეციალურად დაამახინჯებს, მთავარ ძარღვს გამოაცლის და ნაგავში მოისვრის.

არადა, უფალი გვასწავლის: „ვინც უმიზეზოდ განურისხდება ძმას, სასჯელი თანამდევნი იქნება: თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ, მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი, შენს ძმას შეურიგდი, შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძღვენი; თუ ვინმე მარჯვენა ლოყაში გაგანახავს, მეორე ლოყაც მიუშვირე; გიყვარდეთ თქვენი მტრები. დალოცეთ თქვენი მანკურები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს“.

სამწუხაროდ, მაცხოვრის ეს უძვირფასესი შეგონება ბევრის გაძვალბულ ტვინში არ შედის. მე მიყვარს, მას სძულს, და ვაი, რომ სძულს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მოსაფრთხილებელი, რაც გაგვანჩია: **სამშობლო, მშობელი ხალხი, ეროვნული ტრადიციები, წესჩვეულებები, რომლებიც აქამდე რუდუნებით მოვიტანეთ...**

ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოივიდეს, დავაკონკრეტებ სათქმელს და ვიტყვი, მაგრამ, ალბათ, უკვე მიხვდა მკითხველი, ამ მოძულეში ვისაც ვგულისხმობ. დიასხნორედ **ტილვარს „მთავარის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია მყავს მხედველობაში.**

დიდი ხანია (და რაც დრო გადის, უფრო და უფრო), ამ კაცს სძულს, ეზიზღება, სასაცილოდ არ ჰყოფნის ყველაფერი, რაც ჩვენთვის, საზოგადოებისთვის ძვირფასი და საყვარელია: სამშობლო, ერი, ეროვნული ღირებულებები, ეკლესია, ქართული ზნეობა...

ტელეეთერებიდან, განსაკუთრებით „მთავარის“ ეკრანიდან ყოველდღიურად იღვრება საგანგებოდ შერჩეული, ანონიმული-გაზომილი სიბინძურე, სიძულვილი, რამაც უკვე ზღვარს მიალწია. არა მხოლოდ უბრალოდ სძულს, არამედ სძულს მებრძოლურად, ცხენზე ამხედრებულს და ფარ-შუბ-მასვილ მომარჯვებულს, ავყიად და გულბოროტად.

ამას არც მალავს. ის კი არა, ამით თავსაც ინონებს, ილაშქრებს საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ, თავს გვახსენებს მტრულ, ბოროტ, ჭიან აზრებს.

რომელი ერთი გავიხსენო. თუნდაც ფეხბურთელი ჭაბუკის გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის, თამარ ბაჩალიაშვილის თვითმკვლელობის „საკუთარი“ გამოძიება ავიღოთ, რომლებიც უბრალოდ საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ იყო მიმართულ; მისი პოლიტიკური ინსინუაციები, მიშა სააკაშ-

ვილის მხარდამჭერი გამოხედომები, ხელისუფლების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობები ავიღოთ, პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ აღვირახსნილი, უკიდურესად სიძულვილით გაჟღერებული და ღვარძლით, შხამით მოწამლული კაცის შიგთავსით გაჯერებული. ამ და მისი მსგავსი კაცების სიძულვილი და სიძულვილი, დღეს უმდიდრესი ძველანა ვიქტორიით.

სიბრძნე სიძულვილის

ოლონდ ირკვევა... ნიკა თურმე მშვენივრად აცნობიერებს რაშიც დგას, შენუხე-ბულია ამით და აღარ სურს კვლავ ასე ყოფნა. მან ამას წინააღმდეგ პირობითი სათაურით — უარი სიძულვილს ტელეეკრანიდან მოგვასმენინა საკუთარი წარმოების პირობითი პოემა, რომლის დედააზრიც ასეთი იყო: მე სასვე ვარ სიძულვილით და მე არ მომწონს ჩემს თავში ჩაბუდებული სიძულვილი. მინდა მისგან გავთავისუფლდე, მეტი აღარ შემიძლია!

ძნელია თქმა, თუ რამდენად გულწრფელია გვარამია იმაში, რომ მძღნ... ში დგომიდან გათავისუფლება სურს, თუმცა ამის გარკვევა, ძნელი არ არის. დრო ზუსტად გვიჩვენებს, მართლა გამოდის სიბინძურებიდან თუ გვატყუებს და უფრო ღრმად შედის მასში.

ერთი კია. არ გასულა დიდი ხანი და მძღნ... ში მდგარმა მეორე კაცმა, ნიკა გვარამიას სულიერმა ძმამ და მიმდევარმა გიორგი გაბუნია გაანაცხადა ლეღა წურწურისთან დადგმულ ტელეინტერვიუში, პირველი ვიყავი ვინც ტელევიზიაში დაანგრია კედლები, შემოიტანა განსხვავებული სტილი და მეტყველება, რასაც სხვებმაც მიბაძეს და ქართულ მედიაში დაიწყო საშინელება, არა მარტო თოქ-შოუებში, არამედ საინფორმაციო გადაცემებშიცო. მე დავამკვიდრე უხეშობა, ავსტიყვობა, ჩემთვის საშუალებად იყო ეს მაყურებლის ინტერესის გასაძლიერებლად. მე ვიყავი საგანგებოდ უზრდელი და დღეს დიქტორთა, გადაცემის წამყვანთა უმრავლესობა ჩემი ნაბაძვით ლაპარაკობს ნიშნის მოგებით, ლანძღვით, სიძულვილის ენით. ეს უკვე აუტანელია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩიხში შევდით, ჩვენთვის დღეს პრობლემა ის არის, რომ სიძულვილით ვართ განმსჭვალულები, გვიჭირს ერთმანეთთან საუბარი, ეთერი დაბინძურებულია.

ბევრჯერ მიფიქრია საერთოდ გავმქრალიყვი ეკრანიდან. დავრწმუნდი, რომ სიძულვილი მხოლოდ სიძულვილს ინვევს. ახლა ვსწავლობ როგორ გავაკრიტიკო ისე, რომ შეურაცხყოფა არ მივაყენო ოპონენტს, არ გავლანძლო, — ამბობს გიორგი გაბუნია და განაგრძობს: უკვე ახალი წლიდან ვცდილობ, რომ კაცს ეკრანზე არ ვაკადრო უხამსი სიტყვები. მა-

გალითად, ბერა ივანიშვილი გავაკრიტიკე, მაგრამ მისთვის არ შემეიბინებია, ამან კმაყოფილება მომგვარა. გახსოვთ, ეკრანზე შევბრუნე რუსეთის პრეზიდენტს პუტინს, თუმცა, ამაზე ბოდიშს არ ვიხდი.

ევროპა მოგვიწოდებს იპოვეთ გზები ერთმანეთთან მისასვლელად. არადა, ეს გზები დაანგრეულია, ხიდები დამანგარია. ამიტომ, ალბათ, გავიჭირებთ ამის გაკეთება. კრიტიკა უნდა დარჩეს, მაგრამ ფორმა უნდა შეიცვალოს, თორემ სიძულვილი მხოლოდ ახალ სიძულვილს მოგვცემს. ეს უეჭველია.

არ შეიძლება არ დაეთანხმო მომნაწიებელს. ოლონდ, ერთი ეჭვი მიღრღნის გულს. ეს გადაცემა პირველ აპრილს გავიდა და ვაითუ საპირველაპრილოდ იხუმრა ამ „იუმორით დატენილმა“ კაცმა. თუმცა, ასეთი ანგლობით აკი თვითონ რჩებიან ხოლმე გაბითურებულები. ისე რომ, აქაც დროს მივანდოთ ტყუილ-მართლის გარკვევა, დრო უტყუარი მსაჯულია.

სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, რაც დღეს იხილება. ჩვენ უნდა ვიყოთ სრული ფარგლები, ისინი რომ ვერ დავასრულოთ.

ამით „ყველაფრის მხედველმა“ ნაპრეზიდენტალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არ აქვს მოვლენათა განალიზების უნარი და ყველაფერს საკუთარი მოკლე თვალთახედვით უყურობს.

ამის შესაბამისი იყო ხატია დეკანოიძის კომენტარიც, ეს იყო „ოცნების“ მიერ, ხელისუფლების მოხელეების მიერ ძალით გამოყვანილი ხალხი, თორემ ამდენ ადამიანს უცნობი როგორ გამოიყვანდა, ვინ იცნობს გია გაჩეჩილაძესო.

ქალბატონმა ხატიაამაც დაადასტურა, რომ თავის პრეზიდენტის ცხვირს იქით ვერ იყურება, ვერ ხედავს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ხალხის სულისკვეთებას, მის შეეუბრებლობას თავს მოხვეული პოლიტიკური კრიზისის მიმართ.

დრომ ასევე უნდა განსაჯოს, თუ რა გამოვა საბოლოოდ 9 აპრილს რიყზე, ევროპის მოედანზე გამართული „საქართველოს მარადისობის დღის“ დაარსებისადმი მიძღვნილი შეკრებიდან. აი, ეს არის საქართველო, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მოკვდება, რაც უნდა ანამონ, რაც უნდა ჩხონ, რამდენიც უნდა ესროლონ, განაცხადა აქციის ორგანიზატორმა და ერთადერთმა გამომსვლელმა „უცნობმა“ გია გაჩეჩილაძემ, — აი, საქართველო, რომელსაც არაფერს ეკითხებიან, აი, საქართველო, რომელიც რამდენი ხანია ყველაფერს ითმენს, რომელიც თავის საყვარელ პატრიარქს პატივს სცემს და მიჰყვება, — ეს ჩვენ ვართ საქართველო, ეს ჩვენ ვართ სიყვარული, ეს ჩვენ ვართ მოთმინება, ეს საქართველოა „მრავალფაზიური“, „ჩაკრულის“, „შენ ხარ ვენახის“... და ზუსტად ეს საქართველოა მარადიული!

შემდეგ დაიწყო მსვლელობა მარჯვენა სანაპიროზე. საპატრიარქოსთან ტაშით გამოხატეს კათალიკოს-პატრიარქისადმი პატივისცემა, „დედა ენის“ ბაღში ხელი მოეწერა „საქართველოს მარადისობის დღის“ დაარსების აქტს.

ამ მშვენიერ, უჩვეულოდ ხალხმრავალ აქციას უხალ გამოუხეხაურა მისივე სააკაშვილი. აი, ამდენი დარჩენა უზუსტად ძოცავი თავიანთი

არ დააწყონ თავისი სიძულვილის გამოხატვა საამისოდ „მსაგება ბატონებმა“ ნილო ბურჯანაძემ: ეს იყო ყოველად საზოგადოებრივ სახსარობაში, იმ ერთმა ძალმა თქვა, ნახში, რა კარგი ხალხი დგას ჩვენს გვირგვინში. რითი არიან ჩვენზე უკეთესები, რითი სჯობიან ისინი ნილო ბურჯანაძესო.

აი, თურმე, რა? ხვალ ეს აქცია, ალბათ, თავისუფალი ადამიანების პარტიად ან მოძრაობად გარდაიქმნება და თავის სიტყვას იტყვის შავი რეაქციის, ქვეყნის დამლუპველი გათიშულობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ, ალბათ, სულ დანას დაეხვეიან ბურჯანაძე და დანი და ძმანი მისნი.

ალექო ასლანიშვილი
(ტელ: 599568186).




პოლიციის დანების რაიონული სამმართველო უფროსის მოაღბილე დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და განზრახ უკანონოდ დაკავების ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დანისის რაიონული სამმართველოს უფროსის მოაღბილე შ.ზ. დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. დანაშაული ნ-დან მ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა,

რომ შ.ზ.-მ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ბრალდებით მოქალაქე უკანონოდ დააკავა.

ქახეთში ხანძრის სასწრაფო და აღდგენის სამსახურები

აქამდამდე, ხანძრის შედეგად, საცხოვრებელი სახლი და ადამიანის ცხედარი სასახლესთან ერთად დაიწვა. შემთხვევა ე.წ. უტას დასახლებაში მოხდა. ცეცხლი სახლის მეორე სართულზე, სავარაუდოდ, მიცვალბულთან ანთებული სანთლიდან გაჩნდა, რომელიც სახლის ნაწილს მოედო. ასევე, დამწვარია სახლში არსებული საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. შემთხვევის ადგილზე მოხილავს შემთხვევის სასამართლო-სამაშველო ბრიგადა.



დასარბული დოკუმენტის ისტორია



დღემდე არავინ იცის, სად დაცულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ორიგინალი. უფრო მეტიც, დოკუმენტი, ფაქტობრივად, არც არავის უძებნია.

1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მაგიდაზე დამოუკიდებლობის აქტი იყო გაშლილი. მასზე ხელის მოსაწერად დეპუტატებმა ახალი კალმები იყიდეს. ნერვიულობისგან ბევრს ხელი უკანკალებდა და ამიტომ ზოგის გვარი მკაფიოდ არ ჩანს. ჰამლეტ ჭიპაშვილი, რომელიც მაშინ უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი იყო, იხსენებს, რომ დოკუმენტი ბოლოს თავის კაბინეტში ჩაიტანა, თვითონაც მოაწერა ხელი და ბეჭედი დაუსვა.

„შემდეგ ჩემთან მოვიდა გამომცემლობა „სამშობლოს“ რედაქტორი ვახტანგ ესვანჯია და დოკუმენტი მას გადატანა გადასაცემად. მეორე დღეს ასლები საცალო ვაჭრობაში უნდა გავრცელებულიყო. პრესასაც დაეწინაურებინა, „საქინფორმი“ იყო მაშინ საინფორმაციო სააგენტო. მოვიდნენ, გადაიღეს ფოტოები, რომ მეორე დღეს გაზეთებში ყოფილიყო“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ვახტანგ ესვანჯიამ დამოუკიდებლობის აქტი იმავე დღეს დააბრუნა და მანაც ის თავის კაბინეტში შეინახა, თუმცა სადამომდეგ სეიფში შეინახა, თუმცა სადამომდეგ სეიფში მოუხდა, რადგან ამჯერად პრეზიდენტმა გამსახურდიამ სთხოვა, დოკუმენტი დილაზე სახლში გამატანო. მეორე დღეც დადგა, ქვეყანამ დამოუკიდებლობის აქტი გაზეთებშიც იხილა და გამოცემლობა „სამშობლოს“ ასლებიც გამოიწვიეს ჯიხურებში. ამ დროს კი ზვიად გამსახურდიამ სამსახურში მივიდა და სამდივნოს უფროსის წადებული ორიგინალი დაუბრუნა, ოღონდ მასზე უკვე პრეზიდენტის მუელების, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ხელმოწერაც იყო.

„ეტყობა, სერიოზულად იკამათეს, რასაც ხშირად ჰქონდა ცოლ-ქმარს შორის ადგილი, და მანანა გამსახურდიამ იძალადა, დაინებოთ მოითხოვა, ხელი მოეწერა. ზვიად გამსახურდიას ჩემთვის არ უთქვამს, ეს დოკუმენტი იმისთვის მიმაქვს, მანანა ხელი უნდა მოაწეროსო. უბრალოდ, როდესაც დამიბრუნა, დოკუმენტზე იყო ხელმოწერა და თან მოხვდა, რომ ეს გაზეთში გამოქვეყნებინა. ვუთხარი, გაზეთში უკვე არის-მეთქი. არაო, ეს გამოაქვეყნეო, და მაშინ ვნახე, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ჰქონდა ხელი მონწილეობა. მეორედ დაეწინაურა „საქინფორმი“, „სამშობლოს“, ისევ გადაიღეს ფოტოები და მეორე დღეს გამოაქვეყნეს გაზეთებში“.

შედეგად, 10 და 11 აპრილს დამოუკიდებლობის აქტის ორი სხვადასხვა ვარიანტი გავრცელდა. ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ორივე მათგანის ასლი იმდენად მალაღობი ხარისხის იყო, რომ ორიგინალისგან არ განიზიარებოდა. ამ ყველაფერმა სიტუაცია დაძაბა როგორც „მრგვალი მაგიდას“ წევრებს შორის, ასევე საზოგადოებაში. ორი კითხვა ერთდროულად გაჩნდა: რატომ მოაწერა მანანა არჩვაძე ხელი, როცა მას არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ ეკავა და მისი ხელმოწერა უკარგავს თუ არა დოკუმენტს ლეგიტიმურობას?..

„ამის შემდეგ დოკუმენტი ჩემთან ინახებოდა. სექტემბრიდან სიტუაცია დაიძაბა. ომის დროს, სადაც ოქტომბერში, გამსახურდიამ ისევ მოხვდა ეს დოკუმენტი. ცხადია, პრეზიდენტი რომ გთხოვს, ვერ დაუპყვებ. ვფიქრობ, მიიჩნევდა, რომ მასთან უფრო უსაფრთხო იქნებოდა. გადავეცი და მერე უკვე აღარ დაუბრუნებია. როგორც მე ვიცი, ჩვენთვის წაიღო, მაგრამ იქ რა ბედი ენია, ამის შესახებ უკვე არაფერი მსმენია“, — ამბობს ჰამლეტ ჭიპაშვილი.

სამი დამნაშავე უნდა

სადაც ინახებოდა დოკუმენტი ზვიად გამსახურდიამ, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო? ჰამლეტ ჭიპაშვილი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტს ის სახლში, კოლხურ კოშკში, ჰქონდა წადებული, რადგან გამსახურდიას კაბინეტში მხოლოდ პატარა რკინის კარადა იდგა, სადაც ეს დოკუმენტი ვერც გაშლილი და ვერც დაგრაფირებული შეეძლოდა.

ნიანვარს ზვიად გამსახურდიამ საქართველო დატოვა. ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს, რომ პარლამენტის შენობაში შესვლა მან მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოახერხა, მას შემდეგ, რაც ცალკე თენგიზ სიგუასგან, ცალკე ჯაბა იოსელიანისგან და ცალკე თენგიზ კიტოვანისგან აიღო ნებართვა.

„არც ერთი ფანჯარა და კარი აღარ ჰქონდა შენობას. იმ დარბაზს, სადაც დღეს სხდომები იმართება სახურავიც არ გაჩნდა. გამსახურდიას კაბინეტში ერთი სკამიც კი აღარ იყო მთელი. შიდა ეზო სეიფებით და რკინის კარადაებით იყო სავსე, გორად იდგა და არც ერთს საკეტი აღარ ჰქონდა. ჩემი სეი-

ფი „ავტოგენით“ იყო გაჭრილი. პრეზიდენტის რკინის კარადაც დამსხვრეული ეგდო. სათულებზე ხელყუმბარები ეყარა. დალაგება რომ დავინწყეთ, გაგვაცხერეს, ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდესო. მერე გამანადგველები მოვიდნენ... მთელი ეს დოკუმენტაცია ატაკზე იყო მოყვნილი. რამდენიმე დღე ვთვალავდით, რამე ხომ არ იყო ჩვენთვის, ისტორიისთვის მნიშვნელოვანი და ჩრჩენილი, მაგრამ... ამ დოკუმენტს მე ვერ მივაგენი, მას ეს სახლში ჰქონდა წადებული“, — ამბობს ჰამლეტ ჭიპაშვილი.

ბოლო დღეებში, სანამ საქართველოს დატოვებდნენ, ზვიად გამსახურდიამ დღევანდელი პარლამენტის შენობაში, მისი ოჯახის კი კოლხურ კოშკში იმყოფებოდა. ცოტენ და გიორგი გამსახურდიები ჯერ კიდევ არასრულწლოვნები იყვნენ. თუკი დოკუმენტი ნამდვილად კოლხურ კოშკში ინახებოდა, ის სახლიდან ან მანანა არჩვაძეს უნდა გამოეცხადებინა იანვარს, ან იქვე უნდა დარჩენილიყო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა საქართველო დატოვა, კოლხური კოშკი გაიძარცვა და დაინვა. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ დროს დაიკარგა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ორიგინალიც. რა იცის ამ დოკუმენტის შესახებ მანანა არჩვაძემ, ნათელი არ არის. სამწუხაროდ, მან „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარი არ ისურვა.

ყურადღება არც მიუქცევია. მათ შორის იყო დაგრაფირებული დამოუკიდებლობის აქტიც, რომელიც მოგვიანებით მისმა მუელემ ჩარჩოში ჩასვა და კედელზე ჩამოკიდა.

„არც მიფიქრია, რომ დედანი იყო. მერე სხვებმა შეამჩნიეს, რომ ბეჭედი ლურჯი იყო, მელანი — სხვა ფერის და იკითხეს, დედანიო? დედანს ვინ მომცემდა, ალბათ, ასლები დაარიგეს და მეც მერგო-მეთქი. სააკაშვილის პერიოდში, 2006 წელს, დიდი სჯაბასი ატყდა, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ორიგინალი სად წავიდაო. მაშინ ჩამოვხსენი და ვნახე, რომ მეორე მხარეზე ხელმოწერების კვალდაკვალ ყველგან იყო ჩაღრმავებები. შემეშინდა, არ დაკარგულიყო. თან მერე ვილაპარაკე, ფულს მთავაზობდნენ. ეშმაკი არ შემეშინდეს ან მე, ან ჩემს შვილებს-მეთქი და ჩემს მოძღვართან, მამა კონსტანტინესთან (გიორგაძე), მივედი. ვუთხარი, ვფიქრობ, პატრიარქს ჩავაბარო-მეთქი. კარგი იქნებოდა“.

დილით მივედი საპატრიარქოში. მარტო იყო პატრიარქი. მეკითხება, მანანა არჩვაძის ხელმოწერა არისო? კი-მეთქი. აბა, მაჩვენეო. ამოვიღე ეს დაგრაფირებული და მივანოდე. უყურა, უყურა და, შვილო, შენ ღმერთის რჩეული ყოფილხარო, შენთან დედანი მოხვედრილაო“, — იხსენებს ბერდია გუგავა.

ყოფილი დეპუტატი ამბობს, რომ პატრიარქმა დოკუმენტი თავის სეიფში შეინახა და უთხრა, როცა საჭირო გახდებოდა, გამოაჩენდა. ამის შემდეგ ათიოდე წელი გავიდა, საპატრიარქოდან არაფერი იხმოდა. ერთხელაც გუგავას გამსახურდიას მთავრობის წევრი, თემურ ქორიძე, ესტუმრა. ბერდიამ დოკუმენტის შესახებ უამბო. ქორიძემ შესთავაზა, ამის შესახებ გაზეთისთვის ინტერვიუ მიეცა, იქნებ საქმე ადგილიდან დაძვრულიყო. ასეც მოხდა.

„მივეცი ინტერვიუ და ატყდა ერთი ამბავი. დამიბარეს საპატრიარქოში. ფაქტობრივად, დამიბარეს. გამოვიკვრიდა, საპატრიარქოში ვარ თუ პროკურატურაში-მეთქი. შორენა თეთრუაშვილი და ვილაპარაკე მღვდლები იყვნენ, რომლებსაც არ ვიცნობდი. შორენა თეთრუაშვილი გაბრაზებული იყო, რომ ინტერვიუ ისე მივეცი, პატრიარქი საქმის კურსში არ ჩავაყენე“, — ამბობს ბერდია გუგავა. ზვიად ძიძიგური, რომელსაც ასევე ხელი აქვს მონწილეობა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, ამბობს, რომ შეიქმნა კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი თავადაც იყო და დოკუმენტი საპატრიარქოდან პარლამენტში გადმოიტანეს.

„მაშინ გამოვიკვრიდა კიდევ, რადგან მე ვიცოდი, რომ ზვიად გამსახურდიამ გროზნოში წამოიღო სხვა დოკუმენტებთან ერთად. ასე ლაპარაკობდნენ. გროზნოში არ იქნებოდა არც მინახავს. იმდენად ექსტრემალურ სიტუაციაში ვიყავით, ამით არც დაინტერესებულა არავინ. ეს ყველაფერი იყო ლაპარაკი. არავინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა“, — ამბობს ზვიად ძიძიგური.


პარლამენტის დაკვეთით საპატრიარქოდან გადმოიტანული დოკუმენტი სამხარაულის ბიურომ შეისწავლა და დაასკვნა, რომ ის ორიგინალი არ იყო. ამის შემდეგ საქმე წინ აღარ წასულა. ყოფილ პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას პრესასთან არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ მისი დავალებით დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მოსაძებნად მოკვლევა ჩაატარა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. რამდენად ხარისხიანად იყო მოკვლევა ჩატარებული, ამის შესახებ შეგვიძლია იმ ფაქტითაც ვიმსჯელოთ, რომ მის შესახებ ჰამლეტ ჭიპაშვილმა, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის შენახვა ევალებოდა, არაფერი იცის. ეს თემა საგამომიბურო განცხადებებში მერე დღემდე არ არის შეისწავლილი და არც ის ადამიანები არიან დაკითხული, რომლებსაც ამ დოკუმენტთან ჰქონდათ შეხება.

„არავის მოუკლავს თავი დამოუკიდებლობის აქტის აღმოსაჩენად“, — ამბობს ჰამლეტ ჭიპაშვილი. — „იმის შემდეგ 30 წელი გავიდა, ვილას აინტერესებს ეს?“

თავა თოფურია, „რადიო თავისუფლების“ კურნალისტი



ჰამლეტ ჭიპაშვილი



შორენას დროს დაჭალები იყავდ

მართლაც წაიღო თუ არა ჩვენთვის დოკუმენტი დევნილობაში მყოფმა პრეზიდენტმა, დაზუსტებით ვერავინ ამბობს. რუსთაველზე ისროდნენ და მსგავსი საკითხებისთვის მაშინ არავის ეცალა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე ვარაუდობს, რომ თუ დოკუმენტი მანაც პარლამენტის შენობაში დარჩა, ის ძალიან ადვილად განადგურდებოდა, რადგან შიგ შეჭრილმა ხალხმა ყველაფერი ააოხრა.

„შორენას მთავრობის დროინდელი დროსა გვქონდა, — დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ, მაშინ გამოვიგზავნეს საფრანგეთიდან, — დანვეს. შენობა გაძარცვეს, ჩამრთველები და „შტეფსელები“ წაიღეს სახლებში. ჩემი კაბინეტის ჭაღებს დილოში ყიდნენ, ნემოს ნაქონი „ლუსტრაა“, იაფად გაძლევდნენ“.

დევნილობაში მყოფი მთავრობა სესიებს გროზნოში ატარებდა, ნემო ბურჭულაძე ამბობს, რომ ეკორუმი ყოველთვის ჰქონდათ, ანუ ბევრი იყვნენ, თუმცა დამოუკიდებლობის აქტზე მაშინაც არავინ არაფერი იცოდა. „ზვიადისთვის მე პირადად არ მიკითხავს, სხვისი არ ვიცი“, — ამბობს ის.

მოგვიანებით ჩვენთვის ომი დაიწყო და სხვა ყველაფერთან ერთად ჩეხოვის ქუჩაზე მდებარე ის სახლიც დაინგრა, რომელშიც ერთ დროს დევნილი პრეზიდენტი ცხოვრობდა.

„ოჯახმა გროზნო დატოვა 1994 წლის მინურულს, როდესაც სამხედრო მოქმედებები დაიწყო. მანამდე შინა დაპირისპირებებიც იყო ჩვენთვის. მაშინ იქ იყო სამხედრო მეთაური ლაბაზანოვი, რომელიც რუსეთის მხარეს იბრძოდა დუდაევის წინააღმდეგ. რუსეთის ფედერალური სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად ლაბაზანოვის ბანდა თავს დაესხა სახლს და ძალიან ბევრი რამ გაიტაცა. შესაძლოა, ეს დოკუმენტიც აქ მოყვა. ოჯახმა მაშინ გაასწრო, მაგრამ რამდენად მოასწრეს რამის თან წადება, არ ვიცი“, — ამბობს ზვიად გამსახურდიას უფროსი შვილი კონსტანტინე გამსახურდია.

ასლი თუ ორიგინალი

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს კიდევ ერთი ისტორია უკავშირდება. 1991 წლის გაზაფხულზე უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ლენტეხის მაჟორიტარი ბერდია გუგავა სამსახურიდან სახლში მივიდა და საბუთები მაგიდაზე ისე დააწყო,



დამნაშავე კოლხური კოშკი



გიორგი გუგავა



გიორგი გუგავა

(პირველი გვერდიდან)

ზაქარიაძის ფენომენალური პოპულარობა

ზაქარიაძის პოპულარობა ფენომენალური იყო! მასთან მეგობრობით, ურთიერთობით და უზრუნველყოფით, ამაყობდნენ საზოგადოების სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენის და პროფესიის წარმომადგენლები – კოსმონავტიკით დაწყებული და ომის მონაწილეთა თუ შინამოსწავლელთა ოჯახის წევრებით დამთავრებული. ამიტომ ნებისმიერი მსახიობისთვის სანუკვარი და პროფესიონალიზმის უმაღლესი დონის დამადასტურებელი სტატუსის „სახალხო არტისტის“ წოდებას ზაქარიაძე იმითაც ამართლებდა, რომ იგი ჭეშმარიტად სახალხო, ხალხის საყოველთაო სიყვარულით მოსილი მსახიობი იყო.

რა იყო მისი ასეთი ფენომენალური პოპულარობის მიზეზი?

რომ ვახსენოთ, ნიჭი და გარდასახვის საოცარი უნარი – ნიშნავს, რომ ერთდროულად ვთქვათ ყველაზე მთავარი და იმავდროულად, მეორე არაფერი. – ქართულ სცენასა და კინოეკრანს ყოველთვის ამბავებდა ნიჭიერი მსახიობთა მთელი პლეადა. მაგრამ ამ ნიჭიერთა თანაგარსკვლავედშიც კი სერგო მაინც სხვა, განუმეორებელი სხივისა და „ქიმიის“ მატარებელი იყო.

ფიქრობ, მისი პოპულარობისა და დიდების შარავანდედში ყოფნას, ნიჭთან ერთად, შემდეგი გარემოებებიც განაპირობებდა.

პირველ რიგში, ეს იყო საკუთარი პროფესიის ფანტიკური სიყვარული, ერთგულება და საარსაკო შრომისმოყვარეობა. მისი შვილიშვილის, ქალბატონ ნინო ზაქარიაძის მიერ დიდი მსახიობის სამ ტომად გამოცემულ დღიურებშია და ესეებში (იხ. სერგო ზაქარიაძე, ჩანაწერები ჩემი ფიქრებისა. 3 ტომად. თბილისი, 2015 წ.) კარგად იკითხება, თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი თავის თითოეულ გამოსვლას სცენაზე, პუბლიკის წინაშე, როგორ ემზადებოდა იგი როლის სათამაშოდ სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე საათით კი არა, დღით ადრე. მან კარგად იცოდა, თუ როგორი სასოებით ელოდებოდა მილიონობით მაყურებელი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ...

თანამედროვე საქართველოში, ასე ფეხმოკიდებული ყველაფრისადმი ზედპირობული და დილეტანტური დამოკიდებულების ფონზე, განსაკუთრებით თვალშისაცემად, კონტრასტულად აღიქმება თავისი პროფესიისადმი, საქმიანობისადმი ზაქარიაძის დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა, მისი შრომის კულტურა, მიზანზე ორიენტირება და მთელი ძალისხმევების მასზე პროექცირება.

როდესაც პიროვნება თავის პროფესიას (ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი) პატივს სცემს, იგი ფაქტობრივად მისი საქმიანობისადმი სხეულისაგანაც ამასვე მოითხოვს. ზაქარიაძის ამგვარი ფანტიკა და ერთგულება კარგად იყო ცნობილი და დაფასებული საზოგადოებაში;

მეორე. მიუხედავად იმისა, რომ სერგო ზაქარიაძეს დიდი და ცნობილი პიროვნებების უმდიდრესი გალერეა ჰქონდა შექმნილი (მეფე ლიონი, ოდიპოსი, კრეონი, გიორგი სააკაძე – სცენაზე და სხვ.), მისი შემოქმედებითი თავისუფლება, აღიარება და დაფასება დაემთხვა 1950-იანი წლების დასაწყისს, როდესაც სასცენო და კინოხელოვნების ყურადღების ცენტრი მონუმენტური და ისტორიული პერსონაჟებიდან თანდათანობით გადავიდა ყოფით ისტორიებზე, რიგით ადამიანებზე (შეიძლება ამას „ქართული ნეორეალიზმიც“ კი ვუწოდოთ). სწორედ ამ დროიდან ზაქარიაძე ერთიმეორის მიყოლებით ქმნის დასამახსოვრებელ სახასიათო კინო თუ თეატრალურ როლებს: ფოსტალიონი გიორგი („დღე უკანასკნელი, დღე პირველი“), მიწა („ადამიანი იბადება ერთხელ“) მეწაღე ძია შაქრო („მეტეხის ჩრდილში“), ბაყაყაღვი („ჭინჭრაქა“), ფიროსმანი („ფიროსმანი“) და, რა თქმა უნდა, გიორგი მახარაშვილი („ჯარისკაცის მამა“).

სწორედ ამ როლებით შეიყვარა და გაითავისა ზაქარიაძის პიროვნება ქართულმა საზოგადოებამ, მთელმა ერმა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ზაქარიაძეზე უფროსი და მისი მომდევნო თაობის მსახიობებმა სახელი გაითქვეს მსოფლიო კლასიკის, პირველ რიგში, შექსპირისეული პერსონაჟების, შესრულებით. აკაკი ხორავამ და ოთარ მედიუნეთუხუცესმა – ოტელოსა და ოდიპოსის, ხოლო რამაზ ჩხიკვაძემ – რიჩარდ მესამისა და მეფე ლიონის როლებით. ზაქარიაძის განსახიერებულ ოდიპოსს, მეფე ლიონსა და კრეონს საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაეცნენ, თუმცა მას საერთაშორისო აღიარება სწორედ რიგითი ქართველი გლეხის გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებამ მოუტანა. – ეს პერსონაჟი მყისიერად გახდა ახლომდელი და საყვარელი საბჭოთა, ევროპელი, ანგენტიველი, ინდოელი თუ იაპონელი - მსოფლიოს 120-მდე ქვეყნის – მაყურებლისთვის.

დღევანდელი სპექტაქლებით გაჯერებული ბლოკბასტერებისაგან განსხვავებით, ზაქარიაძის მონაწილეობით გადაღებული სცენები უაღრესად ნატურალისტური და ხშირად – სიცოცხლისთვის მაღალი რისკის შემცველიც კი იყო (გავიხსენოთ, რა ახლოს, ორიოდ მტკავრის მანძილზე ჩაუვლის ტანკების კოლონა მტერის კორიანტელში გახვეულ შვილის სახელის ძახილით „გიორგი მახარაშვილს“, ან ცნობილი ვენახის სცენაში დაძრული ტანკი კინაღამ რომ გადაუვლის ჯარისკაცის მამისა და მისივე მიწისა და ვენახის მოტრფილვე კახელი გლეხის როლში ბოლომდე შესულ მსახიობს...).

რა თქმა უნდა, პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების – რადიოსა და ტელევიზიის განვითარებამ, რაც უცხო ხილი იყო ხორავას პოპულარობის გენიტი ყოფნისას (1930-1950-იანი წლების შუა ხანები). 1960-იანი წლების დასაწყისიდან ქართული ოჯახების ტელევიზორებით აღჭურვა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო ტელევიზიით ხშირად უჩვენებდნენ სპექტაკლებს ზაქარიაძის მონაწილეობით. ამავე კონტექსტში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რომ კინოგაქირავების სახელმწიფო სისტემა თვით ყველაზე რთულად მისაღვამ ადგილებში, მთიან სოფლებშიც კი უზრუნველყოფდა ფილმების ჩვენებას მისი მონაწილეობით. ამიტომაც, მაგალითად, თუკი აკაკი ხორავას შემოქმედებით გენიტი ყოფნისას შესრულებული ოტელოს მხახველთა ამსოლუტური უმრავლესობა თეატრის მაყურებლები იყვნენ, რამაზ ჩხიკვაძის აზღაკი („კავკასიური ცანცის წრე“) საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სწორედ ტელევიზიის მეშვეობით აქვს ნახაზი (იმავეს თქმა შეიძლება რუსთაველეთა ბოლო წლების კიდევ ერთი გახმაურებული სპექტაკლის – „მოხუცი ჯამბაჯის“ მონაწილეებზე...).

თუ იმ ცნობილ ფილმს დავესხვებით, სადაც მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის (1965 წ.) ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი სოფი ლორენი მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელ სერგო ზაქარიაძის პიჯაკშია „გახვეული“, იტალიელი კინოვარსკვლავის მსგავსად, დიდი ქართველი მსახიობის ხელოვნების ხიბლში, ხატონად რომ ვთქვათ, მილიონობით ადა-



პროსექლ ანთიპული პარსკვლავი ალარ ქრეზა...

დიდი მსახიობის
ბარდაცვალებიდან
50 წელიწადი
გასულა...



სერგო ზაქარიაძე და სოფი ლორენი, 1965 წელი, მოსკოვი

მიანი იყო „გახვეული“. ზაქარიაძის პოპულარობას ფაქტობრივად საზღვარი არ ჰქონდა და მისი საზოგადოებაში ნებისმიერი გამოჩენა – რაიმე ოფიციალური ღონისძიება, ტროლეიბუსით მგზავრობა იყო ეს თუ ქუჩაში უზრუნველ გავლა – ამის შემსწრეთა განსაკუთრებული სიხარულის, აღფრთოვანებისა და მოწიქების ფონზე მიმდინარეობდა. თანაც – განა მხოლოდ საქართველოში? – სასაზღვრო ქალაქ ბრესტში, როდესაც მატარებლის შემოქმედებელმა მესაზღვრეებმა გაიგეს, რომ ერთ-ერთი ვაგონით გერმანიაში გასტროლებზე მიემგზავრებოდა ლეგენდარული „ჯარისკაცის მამა“, მიატოვეს პოსტები და მის ვაკონთან შეიკრიბნენ, რომ თვალი მოეკრათ და მისაღმებოდნენ საყვარელ მსახიობს. დრეზდენის სასტუმროში, სადაც გასტროლებისას რუსთაველის თეატრის დასი იყო დაბინავებული, ჩხიკვაძე ტურისტებმა, როდესაც შეიტყვეს, თუ რომელ ნომერში ცხოვრობდა გიორგი მახარაშვილის როლის შემსრულებელი, მის ნომერთან ჩეხურად სულ „Laska, laska“ („საყვარელი, საყვარელი“) იძახეს და კარს ფერება დაუწყეს...

თავად სერგოს განსაკუთრებით მოსწონდა დიდებული მსახიობები ჯულიეტა მარინა და ლოურენს ოლივიე, სამსახიობო ხელოვნების უმაღლესი დონისა და მრწამისვალეების ეტალონებად მიაჩნდა ისინი. არადა, პოზნანში გასტროლებზე ყოფნისას ზაქარიაძის მონაწილეობით გამართული სპექტაკლის შემდეგ მისი თამაშით აღფრთოვანებული ერთი სულით ხორცამდე, რაფინირებული თეატრალი ქალბატონი მუხომოდრეკით დაჟინებით ცდილობდა მისთვის ხელზე ამბორს და ევზებოდა: მე მსოფლიოს ყველა ცნობილი მსახიობის თამაში მინახავს, მაგრამ

თქვენ მხოლოდ დიდი ლოურენს ოლივიე თუ შეგედრებათ...

რიგითი მოქალაქე, მაყურებელი ხშირად მის მიერ ხორცმსხველ გმირებს თავად მსახიობთან აიგივებდნენ, განსაკუთრებით – ჯარისკაცის მამას. – მას ისე ხვდებოდნენ და ესალმებოდნენ, ევერებოდნენ, როგორც ნამდვილ ჯარისკაცს მამას... გარდაცვალების შემდეგ ზაქარიაძის ამ ეკრანულმა გმირმა კიდევ უფრო განზოგადებული სახე მიიღო გურჯაანში დადგმული მონუმენტური ძეგლის სახით. ასეთი „დამოუკიდებელი“ სახელი და აღიარება, რომლებიც „კონკურენციას“ უწევენ მათ შემქმნელს თავიანთი ცნობილობითა და პოპულარობით, იშვიათად რგებიან ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს და მათი ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია – მაგალითად, კინოში – ჩარლი ჩაპლინისეული პატარა მარჩაწალა ჩარლი, ლიტერატურაში – პოლიკარპე კავკაზის ყვარყვარე, კონან დოილის შერლოკ ჰოლმსი, რომენ როლანის – კოლა ბრუნიონი...

სერგოს „ქიმი“ და „მეგობრი“

სერგოს საოცარი „ქიმი“ ჰქონდა, რომელიც სცენაზე თუ კინოეკრანზე ბოლომდე იპყრობდა მაყურებელს და მის მიერ შესრულებულ მცირე ან არამთავარ როლსაც კი მასშტაბურს ხდიდა. სპექტაკლში „ადამიანი იბადება ერთხელ“ (1962 წ.). სერგო თამაშობდა იმერელი გლეხის როლს. სცენის კუთხეში დამალვამდე და ჩამოხტადარი მისი პერსონაჟი (მინაგო) თამაშაქოს ფოთლებს ჭრის, თან სცენის ცენტრში პერსონაჟების დიალოგს უსმენს და ემოციებს საკუთარი სხეულის რეაქციით, სახის გამომეტყველებით გამოხატავს. მისი პერსონაჟის ეს უტყვე სცენა 20 წუთზე მეტ ხანს დასრულებდა და ამ ხნის განმავლობაში მაყურებლის ყურადღების ცენტრში მაინც სერგოს გმირი და მისი ემოციებია!

საერთოდ, მის მიერ ემოციების უსიტყვოდ გამოხატვის ხელოვნება განსახიერებელი პერსონაჟის ბუნების, ხასიათის ვადმოცემაში ცალკე საუბრის თემაა! უკვე ქრესტომათიულად ცნობილ შადიმანისა და კარგად ცნობილ და საყვარელ გმირებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ზაქარიაძის განსახიერებულ ორ კინოროლზე გავამახვილებდი ყურადღებას.

პირველი – ესაა მემატიანე და ფილოსოფოსი ლაონიკუსი („ალმანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი“), რომელიც ფილმში მთავარი მოქმედი პირი არაა, მაგრამ მისი სახე დადებითი და უარყოფითი კლიშეებით გაჯერებული პერსონაჟების ფონზე ამკარად გამოჩნეულია. – ზაქარიაძე ყოველდღიურ ამბავებზე და სამყაროს თავსდატეხილ ქართველებზე გემოდან ირონიით დამყურე და შემფასებელი პირის როლს საოცარი დამაჯერებლობით ანსახიერებს, მის მიერ წარმოთქმულ ფრაზებს შორის პაუზა ან უტყვე ქმედება არანაკლებ ინფორმაციული და ემოციური მუხტის მატარებელია, ვიდრე მისივე მონოლოგი.

მეორე – ფელდმარშალი ბლიუხერი („ვატერლოო“). ეს როლიც არაა ფილმში დიდი, მაგრამ ზაქარიაძემ იგი

უზადოდ შეასრულა. განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს მსხვილი პლანით ნაჩვენები ფელდმარშლის ფოლადი-სტრუქტურა, გამანადგურებელი მზერა, რომელიც გუგუნავს, რომ მის განზრახვას, საბოლოოდ დაამარცხოს მოწინააღმდეგე, წინ უკვე ვერაფერი დაუდგება...

ასეთივე „სახისმეტყველებით“ გამოჩენილი პერსონაჟია ზაქარიაძის განსახიერებელი თინიბეგი სპექტაკლში „ზვავი“. დიდი მსახიობის მიერ სპექტაკლის ამ მთავარი და ამასთან უარყოფითი (!) გმირის წარმოჩენა, მოქმედება, დიალოგი თუ მონოლოგი მთელი სპექტაკლის მანძილზე სულგანაბრულ მაყურებელს საოცარ ემოციურ ტყვეობაში ამყოფებს.

ახლა მხოლოდ წარმოსახვაში შეგვიძლია აღვიდგინოთ, თუ როგორი მასშტაბური იქნებოდა მის მიერ განსახიერებული ალმასხანის (ვ/ფ „შეხვედრა წარსულთან“) სახე, რომელიც უკვე გადაღებული მასალიდან საბჭოთა ცენზურამ უმოწყალოდ შეკვეცა და დაასახიჩრა – ფილმიდან ამოიჭრა მრავალი სცენა სერგოს პერსონაჟის მონაწილეობით. – ეტყობა, საბჭოთა სისტემას, ცენზურას, რეჟისორს – თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად, შეეშინდათ, მაყურებელი ფილმის სცენარით ამ, საბჭოთა ხელისუფლების მიუღებელი და აპრობირი უარყოფითი პერსონაჟის მიმართ, მეტისმეტ ხიზობში არ ჩაეზარდნილიყო... ზაქარიაძისთვის ეს როლი არ იყო რიგითი – ის პირველი იყო გიორგი მახარაშვილის კინოროლის შემდეგ და სურდა, რომ ალმასხანის პერსონაჟიც არანაკლებ მონუმენტური, ფსიქოლოგიურად და სანახაობრივად საინტერესო და დამაფიქრებელი გამოსულიყო. მსახიობი რუდუნებით ძეგლავდა ამ პერსონაჟის სახეს და მასზე მუშაობა და ფიქრი, როგორც შემდეგ, მისი დღიურების გამოქვეყნების შემდეგ გაიკვავა, იაპონიაში უაღრესად საინტერესო, შემოქმედებითი და საქმიანი შეხვედრებით დატვირთული ვიზიტის დროსაც კი არ შეუწყვეტია.

ზურაბ ყიფშიძე, რომელიც დაბადებიდანვე „თეატრის მტვერთანაა“ ნაზიარები, იგონებდა, თუ როგორ დადიოდა მეგობრებთან ერთად ყველა იმ სპექტაკლის არაერთგზის სანახავად, რომელშიც სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. თანაც არა უზრალოდ სანახავად – ცდილობდნენ, სპექტაკლების ყოველი მოქმედებისას პარტენის იმ მხარეს დაეკავებინათ ადგილი, საიდანაც ზაქარიაძის პერსონაჟისთვის ყველაზე ახლო მანძილიდან შეეძლოთ ცქერა...

სერგოს ნიჭი, ფაქტურა, დიქცია, ვარდასახვის ხელოვნება მის ყოველ გმირს, მიუხედავად სცენარის თავდაპირველი ფორმატისა, გამოჩენილსა და მასშტაბურს ხდიდა, გულგრილად არ ტოვებდა მაყურებელს, იპყრობდა მათ სულსა და ცნობიერებას. ასეთივე იყო ცხოვრებაშიც...

მოსკოვის 1965 წლის საერთაშორისო კინოფესტივალზე სერგო ზაქარიაძეს და სოფი ლორენსს, მამაკაცისა და ქალის როლების საუკეთესო შემსრულებლებს, მრავალ ოფიციალურ ღონისძიებაში ერთად მოუწიათ მონაწილეობა და შესაბამისად, ამის ამსახველი მრავალი ფოტოც არსებობს. ყველგან იგრძნობა, თუ როგორი მოწინებელი და ადვოკატოვანებით შესცქერის სოფი ლორენსი – მსოფლიო მასშტაბის და იმ დროს უკვე ოსკაროსანი კინოვარსკვლავი, კინოეკრანზე თავისი ეპოქის ულაშავისი და უნიჭიერესი მსახიობებით – კლარკ გეიბლით დაწყებული და მარჩელი მასტროიანით დამთავრებული, გვერდდამშვენებული – სერგოს. ყოველ ფოტოსურათში სოფის დამოკიდებულება ქართველი მსახიობისადმი გავრცობიანებს, თუ ვინაა ამ ტანდემში „პირველი ვიოლინი“. რომელი ერთი გავიხსენოთ?! ერთგან – მხრებზე სერგოს პიჯაკოსხმული სოფი თავლებში შესცივინებს თავის ქართულ კოლეგას, მეორეგან – ოფიციალურ მიღებაზე, სოფი „ემსახურება“ სერგოს მის თევზზე სპაგეტის გადაღებით, შესამეგან იქ, სადაც „ზედმეტი მესამე“ ლუდშილა საველდოვაც ჩანს (რომელიც ასევე აღფრთოვანებით უმზერს სერგოს და ცდილობს, როგორმე მისი ყურადღება დაიმსახუროს...), იტალიელი კინოვარსკვლავის მხერაში საოცარი მოწინებელი იკვებება, ისე შექქერის სერგოს, როგორც მეტრს, მაესტროს, რომლისგანაც პირუთვნელ შეფასებას, დაფასებას, შექმნას ელოდება...

ანა, ეს არ იყო სოფი ლორენისაგან სერგოსადმი, როგორც ასაკით უფროსისადმი გამოხატული მოწინებელი. – სერგოზე თითქმის რვა წლით უფროს კლარკ გეიბლთან თამაშისას (ფილმი „ეს ნებაყოლიმ დაიწყო“) ლორენსი არაფრით უთმობს გეიბლს პირველობას და, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმართ, იტალიელი და ამერიკელი კინოვარსკვლავებს შორის „გამანჯვებულის“ გამოსავლენად ფოტოფინშია საჭირო.

აქ კი... „მარტო“ სოფი ლორენსი კი არ იყო მოხიბლული სერგოს სამსახიობო ოსტატობით და პიროვნებით, არამედ მისი მეუღლე, პროდიუსერი ვარლო პონტიც, რომელსაც სურვილიც კი გაუჩნდა, გადაეღო „ანა კარენინა“. სოფი ლორენსი – ანას როლში, ხოლო სერგო – მისი მეუღლის ალექსეი კარენინის როლში...

ზაქარიაძის განსახიერებელი გიორგი მახარაშვილით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ უკვე მსოფლიო სახელის მქონე მისი კოლეგები რაჯ კაპუჩინიდან (ინდოეთი) დაწყებული და მარინა ვლადიმოვა (საფრანგეთი) დამთავრებული...

ცნობილი და მსოფლიო სახელის მქონე პროდიუსერ დინო დე ლაუნტისის დიდი სურვილი ჰქონდა, სერგო გადაეღო მისი საპროდიუსერო ფილმებში, მიწვეულიც ყავდა აღნიშნულის თაობაზე იტალიაში და ამ იდეის განხორციელებას მხოლოდ სერგოს მოულოდნელმა ჩასვლამ შეუშალა ხელი...



ოტარ ახვათია, 2021 წლის მარტი-აპრილი ტელ. 599 32 18 98 (გაბარებულა მირიხ ნოზაროვი)



გერმანული მხატვრობა ბოლნისის მუზეუმში

ბოლნისის ახალი მუზეუმის დროებითი საგამოფენო სივრცე XIX-XX საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვრების გამოფენას მასპინძლობს.

მუზეუმში წარმოდგენილი მხატვრების – პაულ ფონ ფრანკენის, ჰელენე კიუბერ-ფრანკენის, რიჰარდ ზომერის, თეოდორ ჰორშელტის, ოსკარ შმერლინგის, ალექსანდრე ზალცმანის, ბორის ფოგელის, ირინა შტენბერგის – ფერწერული და გრაფიკული სურათები შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუ-

ზეუმში დაცული გერმანელი ოსტატების უმნიშვნელოვანესი კოლექციის ერთი ნაწილია.

საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვრების შემოქმედებითი მემკვიდრეობა ერთმანეთს განსაკუთრებით თვალსაზრისით სრულიად გამორჩეულ ნიმუშებს აერთიანებს. კოლექცია არა მარტო მხატვრული, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რადგან ამ სურათების უმეტესი ნაწილი იმდროინდელი კავკასიისა თუ საქართველოს სინამდვილეს ასახავს.

ლიტპაიკარი 2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „ლიტპაიკარის“ მეექვსე სეზონი დაიწყო.

ამ პროექტით, თსუ წიგნისმოყვარულ სტუდენტებს ლიტერატურულ სამყაროში მოგზაურობის კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს. მისი მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით, სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება. წელს კონკურსანტები პროექტისთვის შერჩეული ქართველი ავტორების 10 წიგნს წაკითხავენ და ამ წიგნებიდან საკონკურსოდ მომზადებულ ტესტებს დაწერენ. კონკურსის შედეგად, გამოვლინდება 3 გამარჯვებული. მათ გამოცემლობის მიერ დაწესებულ პრიზები და თსუს გამოცემლობის მიერ გამოცემული წიგნები გადაეცემათ.

კორონავირუსის პანდემიის გამო, მეორე წელია, პროექტი ონლაინფორმატში ტარდება.

პროექტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სა-



სხელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები.

2014 წლიდან პროექტის პარტნიორი გამომცემლობა „პალიტრა L“ იყო (პროექტის სახელი „თაობა L“), 2016 წლიდან – გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ („პლანეტარიდმორი“), 2020 წლიდან კი პროექტის პარტნიორია „სულაკაურის გამომცემლობა“ („ლიტპაიკარი“).

შეიარაღებულნი და რუსი დე პალა მერაბ კოკორაშვილის ფილმი იტალიაში



27 მარტს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, გამოქვეყნდა ვიდეო ქართველი რეჟისორისა და სცენარისტის მერაბ კოკორაშვილის მხატვრული ფილმის „ტერცო მონდო“ გადაღებიდან.

ვიდეოში ფილმის პროდიუსერი, ხათუნა ხუნდაძე ამბობს, რომ მსოფლიო კინოს ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ჟერარ დეპარდიე და როსი დე პალ-

მა, ასევე მონაწილეობენ ზოგიერთ ეპიზოდურ სცენარისტს.

„ორივეს ძალიან საინტერესო როლი აქვს, რადგან ისინი Skype-ით საუბრობენ საქართველოზე, ქართულ ღვინოზე და კულტურაზე“, – ამბობს ხუნდაძე. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დეპარდიე ეწვია აფხაზეთს, რითაც დაარღვია საქართველოს კანონი ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებ, რაც კრძალავს რეგიონში შესვლას თბილისის ნებართვის გარეშე.

მერაბ კოკორაშვილის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმი „ტერცო მონდო“ გადაღებების უმეტესი ნაწილი უკვე დასრულებულია. როგორც ფილმის პროდიუსერი ხათუნა ხუნდაძე ამბობს, დარჩენილია ის ეპიზოდები, რომლებიც უცხოეთში უნდა გადაიღოს.

გადაღებები რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობს. „ტერცო მონდო“ საფუძვლად უდევს აკა მორჩილიძის ამავე სახელწოდების მოთხრობა. ფილმი მთავარ როლებს ასრულებენ ლევან ნულაძე, დუტა სხირტლაძე და ქეთა შათირიშვილი. „ტერცო მონდო“ იქმნება ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ეპიკურული 3000 წლის ქალაქი აღმოაჩინეს

მეზობელმა არქეოლოგებმა და მეცნიერებმა უძველესი „ოქროს ქალაქი“ აღმოაჩინეს. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 2000 წელს დაიწყო, თავდაპირველად ტუტანხამონის დაკარგული ტაძრის მოსაძებნად მიმდინარეობდა, თუმცა მკვლევარებმა გაცილებით მასშტაბური აღმოჩენა გააკეთეს.

დაკარგული ქალაქი მდინარე ნილოსის პირას, ლუქსორის ტერიტორიაზე ფარაონ ამენჰოტეპონ III მმართველობის პერიოდში, ჩ.წ. აღ. მე-14 საუკუნეში იქნა აშენებული. მისი ფართობიდან გამოვლინდა, 3000 წლის წინანდელი დასახლება, საკმაოდ განვითარებული იქნებოდა. კედლები და ნაგებობა იმდენად კარგადაა შემონახული, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მოსახლეობა უბრალოდ, თავისი ნებით წავიდა ამ ადგილიდან და ყველაფერი თავის ადგილას დატოვა.






რა ელის რუსეთს უკრაინასთან ომის შედეგად?

უფლება ორჯერ მისცა, ევროპელებისთვის არასაიმედო პარტნიორები ეწოდებინა) და ამ ესკალაციით ცდილობს, დიდი მოთამაშეების მაგიდასთან საკუთარი ადგილი დაიბრუნოს.

რაც შეეხება უკრაინას, ჩეჩელაშვილი ზელენსკის უკანასკნელ ნაბიჯებზე ამხვილებს ყურადღებას უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში ინტეგრირებული რუსული „მესუთე კოლონის“ წინააღმდეგ და მაგალითად ვიქტორ მედვედჩუკის ფიგურა და მისი ოპოზიციური ბლოკი მოჰყავს:

„ამ გაბედულმა ნაბიჯებმა პუტინი ძალიან გააღიზიანა, რადგან ის უკრაინის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების ბერკეტებს კარგავს და ზელენსკის შეშინება ამ დასჯა მოინდომა“.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **ირაკლი მინაძე** ირაპატივი უკრაინის საფუძვლებს რუსეთში არსებულ შიდაპოლიტიკურ კრიზისში ხედავს:



„რუსეთის ხელი-სუფლებას რეალურად სხვა არც არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ შიდა დაძაბულობა განმუხტოს, როგორც რუსები ამბობენ, „მცირე წარმატებული ომით“, მაგრამ რამდენად „წარმატებული“ იქნება ეს ომი, ჯერ კიდევ საკითხავია: ახლა რუსეთის აგრესიული მიზნების წინააღმდეგ უკრაინის არმიას (რომელიც 2014 წელს ფაქტობრივად ჩამოშლილი, ხელმძღვანელობის შეიარაღების გარეშე იყო) გვერდში ფაქტობრივად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალები უდგას, მათ შორის, ამერიკის, ევროპის. ამდენად, თუ „ნაპერწკალი“ მართლაც გამოიკვეს, ამას შესაძლოა, ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს ორივე მხარისთვის: გასაგებია, რომ რუსეთს ჰყავს უზარმაზარი არმია, სამხედრო მანქანისთვის მობილიზებული რესურსებით და შეუძლია, ძალიან მძიმე დესტრუქცია გამოიწვიოს უკრაინის არმიის, სახელმწიფო მფურნეობის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. წინააღმდეგ. მაგრამ მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნე, უკრაინის არმიას ალარაა, რაც 2014 წელს იყო, მეორეც — ნატოს წამყვანი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები მზაობას გამოთქვამენ, მხარში დაუდგნენ მას თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვაში. ამიტომ, ეს ასე მართლაც არც რუსეთისთვის დასრულდება. დიდი იმედი მაქვს, რომ რუსეთში ხელმძღვანელობას კეთილგონიერება ეყოფა, რომ ამგვარი არმაგედონი არ დაატრიალოს ცენტრალურ ევროპაში. რუსეთი ათჯერ უნდა დაფიქრდეს, ვიდრე სა-

ბედისწერო ნაბიჯს გადადგამს, რა თქმა უნდა, თუკი აპირებს მსგავსი ნაბიჯის გადადგამს“ — ამბობს „აქცენტთან“ მენაღარი შვილი და ელის, რომ უკრაინის მიმართ დასავლეთის მხარდაჭერა იქნება „პირდაპირი და რეალური“.

ჩეჩელაშვილიც დარწმუნებულია, რომ აშშ უკრაინას „არ დათმობს“:

„თუ პუტინი გარისკავს, ეს უკრაინისთვის ძალიან რთული განსაცდელი, რუსეთისთვის კი სრული კატასტროფა იქნება. თუ რუსეთს აქვს ილუზია, რომ აშშ უკრაინას დათმობს, ეს მცდარია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი დღეს უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, არამედ იმიტომაც, რომ ეს ამერიკისთვის და მისი ახალი პოლიტიკისთვის (რომელმაც უზოლაციონიზმი დაასრულა და საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური მოთამაშის როლით დაბრუნდა), სერიოზული გამოწვევაა. მისი რეპუტაცია და ავტორიტეტი სასწორზე. ამიტომ, აშშ ყველანაირი სახის ტექნოლოგიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს უკრაინას, ერთადერთი, ალბათ ამერიკელ ჯარისკაცებს ვერ ვიხილავთ უკრაინის ტერიტორიაზე (ვფიქრობ, საქმე აქამდე არ მივა)“.

ამასთან, ჩეჩელაშვილი ელის, რომ საომარი მოქმედებების კვალადკვალ რუსეთში წინააღმდეგობის მოძრაობა გაძლიერდება, ისევე როგორც 90-იან წლებში ჩეჩნეთის ომის დროს:

„მიუხედავად პროპაგანდისტული მანქანისა, რომელიც მთელი სიმძლავრითა ამოქმედებული, რუსეთში ძალიან რთული იქნება იმის ახსნა, თუ რატომ უნდა ილუპებოდნენ რუსი ბიჭები უკრაინაში უკრაინელების წინააღმდეგ (თავიანთ მოძმე ერთან) ბრძოლაში. გარდა ამისა, დასავლეთი მის ქსელში არსებულ ყველა ბერკეტს, მათ შორის, ეკონომიკურს გამოიყენებს, რომ სერიოზული დარტყმა მიიყენოს რუსეთს. ეს ძალიან სერიოზული თამაშია“.

რატომ მსება უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საპარტიოებს?

ირაკლი მინაძის მიხედვით, უკრაინა და საქართველო ერთი და იგივე გეოსტრატეგიულ არეალს მიეკუთვნებიან (შავი ზღვა და კასპიის ზღვის რეგიონი) და უკრაინის „დაჩოქებით“ რუსეთი შეძლებს, მიაღწიოს ძირითად სტრატეგიულ მიზანს — ყოფილი საბჭოთა ძლიერების აღდგენა სივრცეში, რომელშიც საქართველოც მოიაზრება:

„შესაბამისად, ეს საფრთხე ავტომატურად ვრცელდება ჩვენზე. ამდენად, ჩვენ არა მარტო მხარი უნდა დავუჭიროთ უკრაინის დამოუკიდებლობას, არამედ, უკრაინის დამოუკიდებლობა ჩვენი დამოუკიდებლობის ორგანული ნაწილი უნდა აღვიქვათ“.

შაჰრესად დაძაბული რჩება ვითარება რუსეთ-უკრაინის საზღვარზე: რუსი სამხედროების განსაკუთრებული მობილიზება (რომელიც კონფლიქტოლოგების მიერ 2015 წლის შემდეგ ყველაზე მასშტაბურად ფასდება) მარტის ბოლოდან იქნა შემჩნეული. კრემლის პრეს-სპიკერი ირმუნენბა, რუსული სამხედრო ძალების რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება „არავის უნდა აწუხებდეს, რადგან ეს საფრთხეს არ წარმოადგენს“, მ აპრილს კი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, „რუსეთი იძულებული იქნება, დაიცავს საკუთარი მოქალაქეები დონბასში, რაც კონფლიქტის მასშტაბზეა დამოკიდებული“. 9 აპრილს CNN იუწყებოდა, რომ აშშ უკრაინის მხარდასაჭერად შავ ზღვაში სამხედრო ნომადების გაგზავნის საკითხს განიხილავს და როგორც თურქული მედია წერს, ოფიციალურ ანკარას შავ ზღვაში სამხედრო გემების შემოყვანაზე შეტყობინება გაეგზავნა კიდეც, რასაც „მონტროს კონვენცია“ ითვალისწინებს. ინფორმაციას წინ უსწრებდა აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადება ამერიკელ კოლეგასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, „დამარწმუნა ჯო ბაიდენმა, უკრაინა არასდროს დარჩება მარტო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ“.

მოვლენათა ანალიზი რუს ექსპერტს სამხედრო საკითხებში **პაველ ფალგინ-ბაშინს** აფიქრებინებს, რომ ომი შესაძლოა, სულ რაღაც ერთ თვეში გაჩაღდეს და არ გამოირიცხავს, რომ ალმოსავლეთ უკრაინაში ვითარების გამწვავებამ პანევროპული ან მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს:



„საფრთხეები სწრაფად იზრდება. ჩვენ ვხედავთ ძალიან ცუდ ნიშნებს. მაგალითად, მარტის მესამე კვირას რუსეთის ბალტიის ფლოტილის სამი დიდი ნომადი ინგლისის არხის გავლით გადაადგილდა და მათ თან კორვეტი ახლდათ. რუსეთი შესაძლოა, ოდესასა და მიკოლაივს შორის „ნორმანდიის ტიპის დესანტს“ გეგმავდეს. ცხადია, მიმდინარეობს მთავარი ოპერაციის მომზადება და სხვა ძალების

მობილიზებაც განხორციელდება. ყველა საუბრობს ბელგოროდის ხარკოვის გავლით შესაძლო სატანკო შეჭრაზე ზაპოროჟიას მიმართულებით, რათა უკრაინული ძალები დონბასის მარცხენა სანაპიროზე შემოიკრიბოს. პუტინმა შეესაძლოა, უკრაინას ზღვაზე გასასვლელი საერთოდ წაართვას, შექმნას „ნოვოროსია“, ან შესაძლოა, ჯერ რაღაც ნაბიჯი გადადგას, შემდეგ გაჩერდეს — პაუზა აიღოს და დაიწყოს დასავლეთთან „კარნახის“ ტონით საუბარი. ყველა პირობა შეიძლება, მაისის დასაწყისისთვის შეიქმნას, როდესაც რუსეთი „წითელ მოედანზე“ დიდ ალღუმს ჩაატარებს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების წლისთავთან დაკავშირებით“, — განაცხადა ექსპერტმა, რომლის ვარაუდით, „კრემლში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია“.

სახეზე არსებული სერიოზული ესკალაციის გათვალისწინებით, სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების მაღალ რისკს ხედავს „რონდელის ფონდის“ უფროსი მენეჯერი თანამშრომელი, წარსულში საქართველოს ელჩი უკრაინასა და რუსეთში **ვალერი ჩიჩილაშვილი** და აღნიშნავს, რომ კრემლმა სამხედრო ქვედანაყოფების უკრაინის საზღვარზე გადმოსასროლად მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გასწია.



როგორც ანალიტიკოსი „აქცენტთან“ საუბრისას აღნიშნავს, პუტინის მოტივაცია ორი ფაქტორითაა განპირობებული: თავად უკრაინის და აშშ-ის პოზიციის.

ჩეჩელაშვილის დაკვირვებით, პუტინის გაღიზიანება ბაიდენის ადმინისტრაციის მიდგომებზე გამოიწვია: აშშ რუსეთს არ აღიქვამს მთავარ მეტოქედ და ეს როლი ჩინეთს ეკუთვნის; ბაიდენმა პუტინს „უწოდა; ბაიდენმა პუტინთან კომუნიკაციაზეც უარი განაცხადა.

„პუტინი ცდილობს, ქვეყნის შიგნით და გარეთ შეიქმნას იმიჯი, თითქმის თავადაა დიდი გეოპოლიტიკური თამაშების სრულფასოვანი მონაწილე აშშ-სა და ჩინეთთან ერთად, რადგან ევროპას სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალად არ თვლის (ეს რამდენჯერმე გამოჩნდა. იგივე ლავროვმა თავს

შავი ზღვა უნდა იყოს მშვიდობისა და თანამშრომლობის ზღვა

ჩვენი მთავარი მიზანია, შავი ზღვა იყოს მშვიდობისა და თანამშრომლობის ზღვა, — ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიფ ერდოღანმა უკრაინელ კოლეგასთან ვლადიმირ ზელენსკისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელიც თურქეთში ვიზიტით იმყოფება. ერდოღანმა მხარეებს მოუწოდა, უკრაინაში არსებული კრიზისი მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით მოაგვარონ. თურქეთის პრეზიდენტმა უკრაინელ კოლეგას კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ თურქეთის პოზიცია, ყირიმის არალიბრებასთან მიმართებაში, კვლავ მტკიცედ უცვლელია.

თურქეთ-უკრაინის სტრატეგიული თანამშრომლობა


თურქეთისა და უკრაინის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მეცხრე შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც უკრაინაში ასობით შენობის აშენებას ითვალისწინებს. თურქეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი სააგენტო TOKI 500 სახლს ააშენებს ყირიმელი თათრებისთვის. სახლები კიევში, ნიკოლაევსა და ხერსონში აშენდება.



კი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრენ ერთმანეთს.

სტრატეგიული უკრაინისტი მოკლავს!

საბერძნეთში, ათენში, დაქირავებულმა მკვლევებმა ადგილობრივი გამოცემის კრიმინალური ქრონიკის ცნობებმა, რომლებიც მოტოციკლით მოვიდნენ, ყურნალისტს სახლთან ჩაუსაფრდნენ. მათ იორგოს კარივაზას 6 ტყვიას ესროლეს. საგულისხმოა, რომ მკვლევებმა მისი დღის განრიგი იცოდნენ. ყურნალისტი სახლში გადადებოდა დაბრუნდა. პოლიციის შეფასებით მკვლევები პროფესიონალები არიან. საუბარია ორ კაცზე, რომელთაც მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვათ. ანალოგიური მკვლელობა საბერძნეთში 2010 წელს მოხდა, მაშინ დაქირავებულმა მკვლევებმა რადიოსადგურ Thema FM-ის ხელმძღვანელი სოკრატ ჯოლიასი მოკლეს. მას 20 ტყვია ესროლეს.



ბმესაშბრბბ პროფესორი არჩილ სომასურიძე, რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანგინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი.

– ბ-წო არჩილ, თქვენ ამასწინანდელ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საქართველოში „აბორტი დამარცხებულია და იგი ფეხზე ვეღარ დადგება“. არსებულ ოფიციალურ სტატისტიკაში კი აღნიშნულია, რომ ხელოვნური აბორტების რიცხვი საქართველოში აჭარბებს 36000-ს. ხომ არ ამტკიცებს ეს რიცხვი თვითდაჯერების ზღვარს?

– მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „თვითდაჯერება“ ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ მაინც უნდა შეგაკითხოთ „ბარაქა-ლა“ საქმიანი და ლოგიკური შეკითხვისთვის. ვეცდები თქვენ და ჩვენს რესპოდენტებს გავცე დამაჯერებელი პასუხი. უწინარესად მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ გავიხსენო მცირედი ისტორია. პირველ რიგში ის ფაქტი, რომ ცნობილი ინსტიტუტის დაარსებისას პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დაისახა ორი მიზანი: ერთი იყო უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების დახვეწა და მეორე – ხელოვნურ აბორტთან ბრძოლა. შესაბამისად, მე და ჩემმა კოლეგებმა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დავიწყებულ ორივე მიზანდასახულობის სისრულეში მოყვანისთვის ბრძოლა. პირველი ამოცანის შესრულება მიმდინარეობდა გეგმაზომიერად, რის შესახებაც ბევრი ითქვა და დაინერა. ეს პროცესი გრძელდება ამჟამადაც.

რაც შეეხება ხელოვნურ აბორტებთან ბრძოლას, შემძლია, უკანასკნელი შევადარო ძლევაძლის მავიასთან შერკინებას. ოთხმოცდაათიანი წლებისთვის საქართველოში ჩამოყალიბებული იყო აშკარა „აბორტმახერთა მავია“, რომელშიც შედიოდნენ როგორც ექიმები, ისე არაექიმები. მათ ჰქონდათ დიდი ზეგავლენა თითქმის ყველა ინსტიტუტში, ამგვარად მათთან ბრძოლა წარმოადგენდა სასიკვდილო საფრთხეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ როდესაც მე პირადად გამოვეუცხადე ბრძოლა ხელოვნურ აბორტს, მაშინვე დაიწყო პირდაპირი და ირიბი მუქარები, რომ მომკლავდნენ, თუ არ დავტოვებდი საქართველოს. მაგრამ, როგორც ხედავთ, ღმერთმა გადაამარჩინა.

იმ დროისთვის 5,5-მილიონიან საქართველოში ოფიციალურად აღირიცხებოდა 100 000 ხელოვნური აბორტი, რასაც ემატებოდა ორჯერ მეტი კრიმინალური აბორტი, ანუ ჯამში 1987 წლისთვის საქართველოში კეთდებოდა დაახლოებით 300 000 ხელოვნური აბორტი. ამ ბარბაროსული მონაცემით საქართველოს მყარად ეპყრო ხელთ მსოფლიო ანტირეკორდი. თანამედროვე ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებების გამოყენება კი უტოლდებოდა 0-ს. 2000 წლისთვის საქართველოში ხელოვნური აბორტების რიცხვმა იკლო დაახლოებით 10-ჯერ, ხოლო თანამედროვე კონტრაცეპტივების გამოყენებამ გადააჭარბა 70%-ს. ასეთი ნახტომი იმ დროისთვის გახლდათ მსოფლიო რეკორდი თანამედროვე კონტრაცეპციის ისტორიაში.

სხეულებული მონაცემები ემყარებოდა ი. ჟორდანიას იდეოლოგიას და ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას ამ სფეროში. ოფიციალური მონაცემები ხელოვნური აბორტების შესახებ საბჭოთა პერიოდში იყო სრულიად ფალსიფიცირებული, ხოლო მის შემდგომ ხანაში არ გამოირჩეოდა დიდი სიზუსტით. ამიტომ მე არ მიკვირს, რომ თქვენ მიერ მოყვანილი ციფრი 36 000 განეკუთვნება 2014 წელს. მას შემდეგ სახელმწიფო აღარც დაინტერესებულა აბორტების

რიცხვის აღნუსხვით. გამომდინარე იქიდან კი, რასაც პრაქტიკოსი ექიმები ვხედავთ, ეს ციფრი არ უნდა აღემატებოდეს 12-15 ათასს. ამიტომ დაინტერესებულ პირებს მიგვაჩნია, რომ აბორტების ლიკვიდაციის პროცესი გრძელდება და ეს პროცესი თანდათანობით ხდება სულ უფრო შეუქცევადი. ჩვენი საზოგადოების ოჯახები კი სულ უფრო ხშირად გეგმავენ ოჯახს თანამედროვე კონტრაცეპტივების საშუალებით. მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დონე იმდენად ამაღლდა (75%-80%-მდე), რომ ჩვენ სრულად დარწმუნებული ვართ ხელოვნურ

საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს ირლანდიის ისტორია, სადაც ხელოვნური აბორტი წლების განმავლობაში იყო უპირობოდ აკრძალული. ამ ქვეყანაში აბორტის სრულმა ლეგალიზაციამ არა თუ გაზარდა და ფაქტო აბორტების რიცხვი, არამედ, პირიქით, გამოიწვია მათი შემცირება ბოლო 2-3 წლის განმავლობაში.

მე პირადად, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ აბორტები კი არ უნდა აიკრძალოს, არამედ უნდა აღმოფხვრას

აპად-სახსენებელი აბორტი



ნური აბორტების ლიკვიდაციაში უახლოეს 2-3 წელიწადში და ამ პროცესის შეუქცევადობაში.

– როგორ გგონიათ, ხელოვნური აბორტების სხშირის შემცირებას ხელს ხომ არ შეუწყობდა იურიდიული აკრძალვა?

– ერთმნიშვნელოვნად შემძლია გიპასუხოთ, რომ არა. არც ერთ აკრძალვას არავითარი კარგი შედეგი არ მოუტანია მსოფლიო ისტორიაში. მათ შორის აბორტის აკრძალვასაც. მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აბორტების აკრძალვას მიყვევართ არა მათი სხშირის რეალურ შემცირებასთან, არამედ არაღებულური აბორტების რაოდენობისა და, შესაბამისად, დედათა და ახალშობილთა მოკვდაობის მომატებასთან. დღესდღეობით ევროპაში ხელოვნური აბორტების წარმოება კანონით არის აკრძალული მხოლოდ მალტაზე და პოლონეთში. ეს ხდება ძირითადად კონსერვატიული კათოლიკური ეკლესიის ზეწოლით, შედეგადაც ამ ქვეყნებს აქვთ მხოლოდ ის აბსურდი, როდესაც აბორტის მაძიებელი ქალები შესაბამის სამედიცინო მომსახურებას იღებენ მეზობელ ქვეყნებში, სადაც ხელოვნური აბორტი კანონით ნებადართულია.

და ეს უნდა მოხდეს საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებით, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების დანერგვით, იმ პირობების შექმნით, რომ ყველა ბავშვი ყველა მშობლისთვის გახდეს სავსებით სასურველი. უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ ოპტიმალურად არის დაბალანსებული, რაც განპირობებულია თანამედროვე კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობით (მიუხედავად, ხშირად მათი სიძვირისა) და პაციენტების სწორი სამედიცინო ინფორმირებით, რაც ხელს უწყობს მედიცინასაც.

– როგორ მოხერხდება ასეთი ბალანსის მიღწევა ჩვენს რეალურ ვითარებაში?

– აკი გითხარით, რომ ყველაფერი მოახერხა ჟორდანიას ინსტიტუტმა შედარებით მოკლე დროში იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლებიდან შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც იყო დამყარებული მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე და მოიცავდა რეპროდუქციული ფუნქციის მონესრიგების სხვადასხვა მეთოდის ეტაპობრივ გამოყენებას, დანერგული უსაფრთხო სამედიცინო აბორტით (მინი-აბორტი) და დამ-

თავრებული ულტრათანამედროვე კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენებით. ყველა ამ მეთოდის დანერგვაში ჩვენი დიდი დახმარება გაგვიჩნია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და სწორად მოაზროვნე ჟურნალისტებმა! არ შემძლია არ აღვნიშნო, რომ აბორტთან ბრძოლაში ყოველთვის გვეხმარებოდა ჯანდაცვის მინისტრების დიდი უმრავლესობა. ჩემთვის საამაყო ის ფაქტიც, რომ მე, როგორც მორწმუნე პიროვნება, დიდი ხნის განმავლობაში მქონდა საშუალება, მიმენოვებინა სრული ინფორმაცია ჩვენი ინსტიტუტის მოღვაწეობის შესახებ ჩვენი ეკლესიის უმაღლეს დონეზე.

– რა აზრის ხართ ენ. გენდერულ აბორტზე?

– დარწმუნებული ვარ, რომ თუ კი ვინმეს ეზიზღება გენდერული აბორტი, ეს პირველ რიგში გახლავთ ჩემი კოლეგა ექიმი რეპროდუქტოლოგი. აბორტზე უარესი, ალბათ, ბუნებას არაფერი შეუქმნია ქალის ჯანმრთელობის სანინა-აღმდეგე. ენ. „გენდერული აბორტი“ კი, ჩემი აზრით, გახლავთ სრული უმსგავსება, მიზანმიმართული მკვლევობა, რომელიც უნდა დაიგმოს და სრულად აღმოფხვრას. ალბათ, ხელოვნური აბორტის ეს ვარიანტი შესაძლებელია, რომ აიკრძალოს კიდევ, როგორც ელემენტარულად ამორალური. კარგია, რომ ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელებად საერთაშორისო პროგრამებში აქცენტით „გენდერულ აბორტზე“. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის „გენდერული აბორტი“ არ წარმოადგენს ისეთ მტკივნეულ საკითხს, როგორც, მაგალითად, ალმოსავლეთის განვითარებადი ქვეყნებისთვის.

– ასეა თუ ისე, ხელოვნური აბორტი ჯერჯერობით რჩება ჩვენი ცხოვრების რეალობად. აბორტების რიცხვი საქართველოში ქვეყნის, ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. რას ურჩევთ ჩვენს ქალებს?

– არა მარტო ქალებს, არამედ მათ სქესობრივ პარტნიორებსაც ვურჩევდი, რომ არ მიმართონ ხელოვნურ აბორტს და გამოიყენონ ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე საშუალებები. მაგრამ თუ „დაიქცა ქვეყანა“ და წარმოიშვა ხელოვნური აბორტის აუცილებლობა, დროულად მიმართონ ექიმ რეპროდუქტოლოგს, მისი მეთვალყურეობის ქვეშ ჩაიტარონ ენ. „მედიკამენტური აბორტი“. თავის დროზე, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დროებით, ალტერნატიულად შემოვიღეთ ენ. მინი-აბორტი, ეს იყო განპირობებული ამ პროცედურის ნაკლები ზიანით ქალის ორგანიზმზე ტრადიციულ ქირურგიულ აბორტთან შედარებით. დღესდღეობით კი ჩვენ შემოვიღეთ და პრაქტიკაში აგრეთვე დროებით, ალტერნატიულად დავნერგეთ ენ. „მედიკამენტური აბორტი“, რომლის უარყოფითი ზეგავლენა ქალის ორგანიზმზე არის მინიმალური. მაგრამ მაინც ყველა ტიპის აბორტი არის ცუდი. ჩვენი მიზანია ხელოვნური აბორტის სრული აღმოფხვრა ჩვენი პრაქტიკიდან.

ეს კი შესაძლებელია თანამედროვე კონტრაცეპციის ტოტალური დანერგვით.

ესაუბრა თამარ მამაცაშვილი

ამირან გამყრალიძე: ძალიან გვინდა, რომ ალფონს დელსანაულზე არ დაგვჭირდეს შეზღუდვა!

უნდა ვეცადოთ, რომ სააღდგომო პერიოდში რა შეზღუდვებიც დღეს არის, იმაზე მეტი არ დანესდეს, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრალიძემ განაცხადა.

„საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ მდგომარეობა სერიოზულია და ყოველდღიურად 8-10 გარდაცვალებაა კოვიდით გამოწვეული, ინფიცირებულთა მაჩვენებელი კი იზრდება. ძალიან გვინდა, რომ ყველაზე დიდი დღესასწაული, აღდგომის დღესასწაული ჩატარდეს მშვიდად და არ დაგვჭირდეს დამატებითი

შეზღუდვების დანესება ქვეყანაში და ეს შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სიტუაცია გაუარესებულია, ის სრულად მართვადია და შესაძლებელია, თავი ავარიდოთ ახალ შეზღუდვებს.


დისტანციის დაცვა, პირბადის გამოყენება, სანიტარიული პირობების დაცვა და თავშეყრებისგან თავის არიდება – ეს რჩება მთავარ რეკომენდაციებად, – განაცხადა ამირან გამყრალიძემ.



ფოთის მებტაურბიულ ქარხანაში ორი მამაკაცი დაშავდა

ფოთში, ნაბადის უბანში მდებარე მებტაურბიულ ქარხანაში სატვირთო ავტომანქანის საბურავი გასკდა, მომხდარის შედეგად ამავე საწარმოში დასაქმებული ორი მამაკაცი დაშავდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებულები სხვადასხვა სახის დაზიანებებით ჯერ სენაკის კლინიკა „არქიმედემო“, მოგვიანებით კი ქუთაისის კლინიკა „უნიქალ მედიკ“ გადაიყვანა. ერთ-ერთი დაშავებული ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, იმყოფება მართვით სუნთქვაზე და რეანიმაციულ განყოფილებაში აგრძელებს მკურნალობას.



სამაგი გასროლა

ტრიუმი

სიმბოლურია, რომ 9 აპრილი ქართულ სპორტში მნიშვნელოვან წარმატებათა თარიღად იქცა.

განსაკუთრებით გაგვახარა 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე, წარმოშობით უკრაინელის ანტონ პლესნოს მოსკოვურმა ტრიუმფმა, რომელმაც ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ყველა დაჯაბნა როგორც ატაცში, ისე აკვრაში და, ბუნებრივია, ორჭიდში მოპოვებული მისი გამარჯვების აღსანიშნავად (180+213=393) რუსეთის დედაქალაქში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პიშინი

აუღერდა. მანამდე ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით, მათ შორის – ორჭიდში, დაიმშვენა მკერდი რევაზ დავითაძემ (89 კგ), ხოლო შემდეგ ანასტასია გოტფრიდმა აჯობა ყველას ატაცში (87 კგ).

მშვენიერი საჩუქარი უძღვნეს გულშემატიკვრებს ავთანდილ ასათიანის განვრთნილმა ფუტსალის ეროვნული ნაკრების წევრებმა, რომლებმაც ჯგუფური ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში საფრანგეთის გუნდს 3:2 მოუგეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში თამაშის უფლება დაიმსახურეს.

თანამემამულეებს ჩინებულად აუბა მხარი ჩვენმა პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა, ვინც იტალიურ კალიარიში გამართულ ATP 250 კატეგორიის პრესტიჟული ტურნირის მეოთხედფინალში გერ-

მანელი იან-ლენარდ შტრუფი სამ პარტიაში 7:5, 4:6, 6:3 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მსოფლიოს 57-ე ჩოგანთან, 29 წლის სერბ ლასლო ჯერესთან დამარცხდა – 2:6, 0:6.

გაჟან დოლიძე



ფეხბურთი

ჩეალური კლასიკო

„სიტი“ შინ „ლიდსთან“ შერცხვა – 1:2, ხოლო „ბაიერნმა“ ასევე საკუთარ მიწაზე დაკარგა ძვირფასი ქულები ბერლინის „უნიონთან“ – 1:1, მაგრამ ევროპის საფეხბურთო უქმეების მთავარი მოვლენა მაინც მადრიდის „ალფრედო დი სტეფანოს“ სტადიონზე გამართული 182-ე ელ კლასიკო გახლდათ, რომელშიც „სამეფო კლუბმა“ მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ დაამარცხა მარადიული მეტოქე – 2:1 და მასთან სტატისტიკური უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა – 75 მოგება, 72 წაგება და 35 ფრე.

„ბარსელონა“ ესპანეთის დედაქალაქს 15-მატჩიანი წაუგებელი სერიითა და პრიმერას სატურნირო ცხრილის ლიდერ „ატლეტიკოსთან“ ერთ ქულამდე შემცირებული ჩამორჩენით

ენკია, თუმცა, დაცვაში დაშვებულმა ბავშვურმა შეცდომებმა და ზინედინ ზიდანის არჩეული უსწრაფეს კონტრშეტევებზე აგებული ტაქტიკის სამაგალითო ხორცშესხმამ



გიორგი შოთაძე

ლებს ლა ლიგაში დანიანურების საშუალება არ მისცა.

ამ დაუფინყარ სანახაობაში რიკოშეტებიც იყო, ბურთი რამდენჯერმე ძელსაც მოხვდა, კაზემირომ წითელი ბარათიც დაიმსახურა, მაგრამ მატჩი უდავოდ დაამშვენა ვალვერდე-ვასკეს-ბენზემას ელვისებური სამსვლიანი შედეგის ქუსლით დაგვირგვინებამ.

მოკლედ, ჩემპიონთა ლიგის მსგავსად, „თეთრები“ წარმატებით აგრძელებენ მეორე ფრონტზე ბრძოლასაც, რონალდ კუმანის გუნდს კი შოლანდიელის თავკაცობით პირველი ტიტულის დაუფლების შანსი 17 აპრილს მიეცემა, როცა „კოპა დელ რეის“ ფინალში „ბილბაოს“ შეხვდება.

ევროპასკეტი



მეზობელო კარისაო...

პაბატა გურასპაშული, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი – „თურქეთი ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა, სადაც სპორტი, განსაკუთრებით კალათბურთი, საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებულია.

გარდა იმისა, რომ მათი ნაკრები ძლიერი კალათბურთელებით გამოირჩევა და შედეგებიც ღირსეული აქვს, თურქეთს სპორტის ნებისმიერ სახეობაში ძალიან მხურვალე და მონესრიგებული გულშემატიკვრები ჰყავს, რომლებიც გაისადსეკტემბერში ევროპასკეტის მატჩების მსვლელობისას თბილისის ახალაშენებულ ულამაზეს დარბაზს კიდევ უფრო დაამშვენებენ.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის საქართველოში საკმაოდ დიდი დიასპორა ჰყავს და, ამავდროს, ჩვენს ქვეყანაში საქმიანი ვიზიტით ძალიან ბევრი თურქეთის მოქალაქე იმყოფება. შესაბამისად, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პარტნიორული შეთანხმება წარმატებული იქნება და თბილისში გამართულ ევროპასკეტის ჯგუფური ეტაპის მატჩებს მყურებელი არ მოაკლდება,

რაც ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საქართველოსთვის.

ეს პრეცედენტი კარგი მაგალითი იქნება საიმისოდ, რომ თურქეთის კალათბურთის ფედერაციასთან მომავალში მჭიდრო თანამშრომლობა განვაგრძოთ“.

მიონ ბაღჩი, თურქეთის კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი – „ჩვენ კმაყოფილი ვართ საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით, რომელიც ევროპასკეტის ერთ-ერთი მასპინძელი და ჩვენი ახლო მეზობელია. გვჯერა აგრეთვე, რომ უფრო ახლოს და ინტენსიურად ვიგრძნობთ ჩვენი გულშემატიკვრების მხარდაჭერას. ჩვენი მიზანია თბილისში ჯგუფურ ეტაპზე წარმატება მოვიპოვოთ“.

შეგახსენებთ, რომ თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე, სავარაუდოდ, ჩვენი კიდევ ერთი მეზობელი და მეგობარი – რუსეთი იქნება, ხოლო დანარჩენთა ვინაობას 29 აპრილს ბერლინში გასამართავი კენჭისყრა გამოავლენს.

ვიტალი ჯაფარიძე

„ყველი, ჯური, საჭაჯური, წინილა...“

პური და სანახაობა – უთქვამთ ძველ რომში. სანახაობის რა მოგახსენოთ, მაგრამ პური ჩვენი არსობისა რომ მეპურემ უნდა აცხოს, ამაზე ქართველი ოდიოგანვე ვთანხმდებით.

თუმცა, როგორც ყველაფერში, გამონაკლისს ამ უმნიშვნელოვანეს დარგშიც ვხვდებით.

დიახ, ნათია გეთია ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ 5 წლის ასაკში პროფესიას შეიცვლიდა და, მისივე სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „მეგრელი ქალი შოთების ცხობაში კახელებს გადაუჯოკრავდა“.

მან თონე ნუცუბიძის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას გამზირის მესამე კვარტლისკენ ჩასახვევში გამართა და უკვე სამი წელიწადია, რაც უბნელებს უგემრიელესი დედას პურებით უმასპინძლდება.

მართალია, კომენდანტის საათი თავისას მოითხოვს, მაგრამ როცა საქმეს გულიანად აკეთებ, გამოსავალი



მოგზაურობა გემრიელობის სამყაროში

აქაც მოიძებნება. ასევეა ქალბატონი ნათიას შემთხვევაშიც – სახლი იქვე კი აქვს, მაგრამ ხშირად ლამითაც რჩება სამსახურში, რათა დილიდანვე დაახვედროს უკვე ოჯახის წევრებზე მომადლიერებულ მუდმივ მომხმარებლებს ცხელ-ცხელი პროდუქტია.


არ გეგონოთ, საზრუნავი აკლია – მზე და მთვარე ერთადერთ ხელოვან ქალიშვილზე ამოსდის, მაგრამ მონოდებად ქვეული გატაცება, რომელიც პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძობითაა შეკმაზული, მაინც სხვაა.

ვიმედოვნებთ, საბურთალოელები კიდევ დიდხანს დააგემოვნებენ კოლხი ნათიას კახურ შოთებს.

* * *

მეტროს სადგურ „დელისიდან“ რომ ყაზბეგის ქუჩისკენ დაუყვები დაღმართს, გამოირიცხულია, ფუმფულა ხაჭაპურის, „პერაშკის“, „პონჩიკისა“ და ლობიანის სურნელმა არ გაგაბრუოს.

მოგეხსენებათ, საზღვრების ობიექტები ფეხის ყოველ ნაბიჯზე გახსნილი, მაგრამ



საცხობ „გემოსას“ მუშტარი სტაბილურად „ანუხებს“ და თითქმის ყოველთვის რიგში უწევთ ჩადგომა, რასაც დემრიელი და, რაც მთავარია, ხარისხიანი მენიუ განაპირობებს, თუმცა, კიდევ უფრო მიმზიდველია ის გულსხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება, რომლითაც მუდამ დიმილიანი ილონა ბარამია, ნანა ჭუმბურიძე და მათი თანამშრომლები გამოირჩევიან კოლეგათაგან.

მართლაც, როცა ირგვლივ სოკოებივითაა მომრავლებული მსგავსი პროფილის სასუსნავეებით მაცდურად „მოზირალი“ ვიტრინები, ძნელია კონკურენციას გაუძლო და ღირსებასთან ერთად კლიენტურა შეინარჩუნო, აქ კი ამას ახერხებენ და, დარწმუნებულნი ვართ, არც მომავალში მოაკლდებათ მათი მადლიანი მარჯვენის დამფასებელი სტუმრები.

კობა კობახიძე

ქართულ მეცნიერებას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ახალგაზრდა მეცნიერ-თა და სპეციალისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი და მეცნიერების ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი შინგაია**.

გივი ცინცაძე ქართული ინტელიგენციის იმ პლუადას მიეკუთვნება, რომელმაც გასული საუკუნის 50-იან წლებში გაბედულად შემოაბიჯა ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე და მას შემდეგ ათეული წლები თავდადებათ იღვწოდა მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისთვის, მაღალპროფესიული კომპეტენციის მქონე საინჟინრო კადრების აღზრდისა და ჩამოყალიბებისთვის.

აკადემიკოს გივი ცინცაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მისი საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება და პატივისცემა ქვეყნისთვის განწეული თავდადება ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა.

დაიბადა 1933 წლის 18 აპრილს ქ. თბილისში, პედაგოგების ოჯახში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მან მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა გეოქიმიისა და კრისტალოქიმიის დარგში. ამ წლებში აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ხამბედოვისა და გ. ცინცაძის მეცნიერულმა თანამშრომლობამ სათავე დაუდო ქართველ და აზერბაიჯანელ ქიმიკოსთა ახალ, მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს, რომელიც დღემდე წარმატებით ნარჩუნდება.

1960 წელს გ. ცინცაძე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ასპირანტურაში. ერთი წლის შემდეგ, ასპირანტურის კურსის გასაგრძელებლად, გაიზარდა მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კრისტალოქიმიის ლაბორატორიაში, სადაც აკადემიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. პორაი-კოშოცის ხელმძღვანელობით დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე კოორდინაციული ნაერთების კრისტალოქიმიის დარგში და წარმატებით დაიცვა იგი 1965 წელს.

ასპირანტურის წლებში გ. ცინცაძემ შემოქმედებითად შეათავსა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ნოვინკის ფილიალის გამოთვლით ცენტრებში მიმდინარე სამუშაოებთან და უშუალოდ მონაწილეობდა დიდგაბრიტიანი ეგმ-ის გამოყენებით ჩატარებულ კვლევებში - თანამედროვე მათემატიკური მეთოდების დანერგვა რენტგენოსტრუქტურულ ანალიზში, რაც წარმატებით ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ცენტრებში.

1965 წლიდან დაწყებული, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, გ. ცინცაძე, მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფთან ერთად, შეუდგა ფართო შემოქმედებით სამეცნიერო კვლევით საქმიანობას - მის მიერ შექმნილი კრისტალოქიმიისა და რენტგენო-სტრუქტურული ანალიზისა და ბიოარაორგანული ქიმიის ლაბორატორიებში ლითონების არაორგანული და კოორდინაციული ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთების სინთეზისა და აღნაგობის პრობლემაზე.


1968 წელს გ. ცინცაძე სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად მიაღწინეს ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე, სადაც მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები დაამყარა კოორდინაციული ქიმიის დარგის გამოჩენილ მეცნიერებთან - პროფესორ აგლოუბსა და პროფესორ ვ. სკოპენკოსთან. ამ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ საფუძველი ჩაუყარა უკრაინელი და ქართველი ქიმიკოსების ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს.

1971 წლის თებერვალში გივი ცინცაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ლითონების ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთების გამოკვლევა“.

უაღრესად ფართო და მასშტაბურია გ. ცინცაძის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. მისმა სამეცნიერო შრომებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. გ. ცინცაძის სამეცნიერო კვლევის შედეგები მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაშია შესული და ფართოდაა ციტირებული როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთის გამოცემებში. ეს შრომები დიდ ინტერესს იწვევს ქიმიის, ქიმიური მრეწველობის, ტექნიკის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების ფართო წრეებში, რადგან მეცნიერის მოღვაწეობა ვრცელდება არა მარტო ფუნდამენტური კვლევის დარგზე, არამედ ის გამოყენებით-პრაქტიკულ ხასიათსაც ატარებს.

პროფესორ გ. ცინცაძისა და მისი თანამშრომლების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაზაზე შეიქმნა თანამედროვე კოორდინაციული ქიმიის არსებითად ახალი დარგი - ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების ქიმია, თანაც სრულიად განსხვავებულ ასპექტებში: სინთეზური ქიმია, სპექტროქიმია, სტრუქტურული ქიმია, კრისტალოქიმიის სტრუქტურების შესწავლისა და კვანტურქიმიური გამოკვლევების ჩათვლით, ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების გამოყენებითი ქიმია.

თეორიული გამოკვლევებიდან ყველაზე მეტად შთაბეჭდილია გამოკვლევები ბიოარაორგანული ქიმიის დარგში. მიკროელემენტების და სამკურნალო ნივთიერებების საფუძველზე ახალი ბიოკომპლექსების სინთეზი, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ელექტრონული სტრუქტურების შესწავლა საიმედო ფუნდამენტი შეუქ-



აკადემიკოსი გივი შინგაია - ქართული მეცნიერების ლეგენდა

მნა ბიოლოგიური აქტივობის მექანიზმის გაგებას, საფუძვლად დაედო ბიოლოგიურად აქტიური ბიოარაორგანული კომპლექსების მიზანმიმართულ სინთეზს. გ. ცინცაძის ინიციატივით შექმნილმა ამ მიმართულებებმა - ნაერთების სინთეზი, სპექტრულმა, მაგნიტოქიმიურმა, სტრუქტურულმა და სხვა თანამედროვე გამოკვლევებმა ფართო გამოხმარება პპოვა და ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს მრავალ სამეცნიერო ცენტრში (თბილისი, მოსკოვი, ბაქო, კიშინიოვი, როსტოვი, მიწკი, ტაშვენტი და სხვ.).

გ. ცინცაძის მიერ თანაავტორებთან ერთად გამოცემულ მონოგრაფიებში - „ლითონების კოორდინაციული ნაერთები ფორმამდთან“ (1980), „ლითონების კოორდინაციული ნაერთები ეთილენდიაციონანთან და ბიციკლურ ბისმარდოვანებთან“ (1993) და „ლითონების კოორდინაციული ნაერთები ტუბაზიდთან და ლარუსთან“ (1998) - ამომწურავადაა გაშუქებული კომპლექსარმოქმნის უნარსა (კონკურენტულ კოორდინაციას) და ლიგანდების ბიოლოგიურ აქტივობას შორის კავშირი, რომელიც, ამასთანავე, კორელირებულია წარმოქმნილ თერაპიულ ეფექტთან.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გ. ცინცაძის და მისი სამეცნიერო სკოლის წვლილი ხისტ-რბილი მჟავებისა და ფუძეების კონცეფციის განვითარებაში. როსტოველ მეცნიერთა კოლექტივის მიერ ერთობლივად გამოცემულმა მონოგრაფიამ - „ხისტ-რბილი ურთიერთქმედებები კოორდინაციულ ქიმიაში“ (როსტოვის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1986) თვისებრივად ახალ საფეხურზე წამოსწია რ. პირსონის მიერ ჯერ კიდევ 1963 წ. ჩამოყალიბებული კონცეფცია ხისტი და რბილი მჟავებისა და ფუძეების შესახებ.

გ. ცინცაძის შრომებში განვითარებული შედეგებით ხისტი და რბილი ფუძეების და მჟავების კონცეფცია ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ზეკომპლექსების პროგნოზირებადი სინთეზისთვის, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ლაბორატორიულ მუშაობას იშვიათი და კეთილშობილი ლითონების ამოღებას და ეკონომიკურად მიზანშეწონილია. გარდა ამისა, ზეკომპლექსარმოქმნა ფრიად პერსპექტიულია მედიცინის დარგისთვისაც, ორგანიზმიდან ტოქსიკური ელემენტების მოსაცილებლად.

გ. ცინცაძის ხელმძღვანელობით მიღებულია ლანთანიდების კომპლექსები ბენზოილპირაზინთან, ორთო, მეტა და პარა ბენზოილპირაზინთან, პირიდინარბონმჟავას ჰიდრაზიდებთან, გამოვლენილი იყო იმ ლანთანიდების ბიოლოგიური აქტივობა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ბიოლოგიურად არააქტიურად ითვლებოდა. დიდი კოორდინაციული ტევადობის გამო, ლანთანიდები ქმნის კომპლექსებს უმდიდრესი გეომეტრიული მრავალგვარობით, რომლის გაშიფრვა ფრიად პრობლემური და რთულია, მაგრამ გ. ცინცაძემ წარმატებით გადალახა ეს ბარიერი.

კოორდინაციული ქიმიის სფეროში შესრულებული ნაშრომების ციკლისათვის - „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“, გ. ცინცაძემ უკრაინელ და გერმანელ მეცნიერებთან ერთად უკრაინის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. აღნიშნული წიგნი 1990 წელს გამოსცა საერთაშორისო

სო გამომცემლობამ „ELSAVIERM“-მა სახელწოდებით „Chemistry of Pseudohalides“, monograph 21 (ამსტერდამი, ოქსფორდი, ნიუ-იორკი, ტოკიო). მის მიერ უკრაინელ ავტორებთან ერთად მოზადდა და ქართულ ენაზე გამოიცა ფუნდამენტური, კლასიკური სახელმძღვანელო „კოორდინაციული ქიმია“, ხოლო 1998 წელს თანამშრომლებთან ერთად ნაშრომების ციკლისათვის „ლითონების კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი, აღნაგობა, თვისება“ - საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

გივი ცინცაძე დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მრეწველობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. იგი მონაწილეობდა სტიბიუმის სულფიდის მიღების ტექნოლოგიის დამუშავებასა და ამ ტექნოლოგიის რაჭის სამთოქიმიურ ქარხანაში დანერგვაში. გ. ცინცაძემ დაამუშავა მანდნეულის საბადოს მადანში ოქროსა და პალადიუმის განსაზღვრის მოდფიცირებული მეთოდიკა. აქვე უნდა აღინიშნოს მისი შრომები ინდიუმისა და კადმიუმის სორბციული ქვევის შესახებ სამამულო ანიონიტების როდანიდულ ფორმებზე. ამ გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა წინაპირობები შექმნილყო რიგი იშვიათი ლითონების დაყოფისა და გამოყენებისთვის.

გ. ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია მრავალ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთა შორის 25 მონოგრაფია, 45 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო და 17 საავტორო მონაშობაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ცინცაძის დაულალავი შრომა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მის მიერ აღზრდილია სამოცდაათზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ბელარუსი, აშშ, გერმანია, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, თურქეთი).

წლების განმავლობაში იგი იყო არაერთი სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელი და წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი და პროფესორთა საბჭოების წევრი, მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის, სესიისა და ყრილობის ორგანიზატორი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ფართომასშტაბიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, გ. ცინცაძე ნაყოფიერ სასწავლო - პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1965 წლიდან იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდა. აქ გაიარა მან გზა ასისტენტიდან პროფესორის მაღალ თანამდებობამდე. 1971 წელს გ. ცინცაძე სათავეში ჩაუდგა ახალიზური ქიმიის კათედრას, ხოლო 1973 წელს - ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას. ამ პერიოდში მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა ზოგად და არაორგანულ ქიმიაში სამშენებლო, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ჰიდროტექნიკის, მეტალურგიული და სხვა საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის. გ. ცინცაძის მონოგრაფიები ქიმიური პროფილის სტუდენტთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ცინცაძის მოღვაწეობა ქიმიაში საშუალო სკოლებისთვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით დაინერა ქიმიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლის VII-XI კლასებისთვის, აგრეთვე, ამოცანებისა და საავარჯიშოების კრებული VII-XI კლასებისთვის, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა. დაულალავად იღვწოდა აკადემიკოსი გ. ცინცაძე, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პემლიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსური ნაერთების ქიმიის ლაბორატორიის გამგე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის გამგე.

მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის გ. ცინცაძე 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს ნამდვილ წევრად. იყო საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ბიუროს წევრი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს (ქიმიის სერია)“, აგრეთვე „საქართველოს ქიმიური ჟურნალის“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებულისა და ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს ქიმიური საზოგადოების დამფუძნებელი.

იგი იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის, რუსეთის საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა აკადემიის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის, გიორგი ნიკოლაძის მედლის მფლობელი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედლით, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედლით „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის“. მიღწევებისა და რეგალიების ეს არასრული ჩამონათვალი მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობის აღიარების დასტურია.

ბრძენი კაცის მიერ ნათქვამია, „ლეგენდად რომ იქცე, გენიოსობა საკმარისი არ არის, უნდა გარდაიცვალო“. აკადემიკოსი გივი ცინცაძე ლეგენდად იქცა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სანთელი

საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სწავლული-ისტორიკოსი, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგი, წყაროთმცოდნე, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გამორჩეული მთარგმნელი (რუსულ ენაზე), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გივი წულაია

და სამხიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

როინ მებრძოლი, ლია მელიქიშვილი, ოთარ შორდანი, როლანდ თოფჩიშვილი, სლობოდა ბახია-ოძრუაშვილი, ნუნუ მინდაძე.

ოთარ და ვალერი შორდანიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ეთნოლოგი, „ქართლის ცხოვრების“ მთარგმნელი რუსულ ენაზე და კომენტატორი, გამოჩენილი წყაროთმცოდნე, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გივი წულაია

და სამხიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამეგობრო წრე გამოხატავს ღრმა მწუხარებას სპარტაკ გოგინავას ოჯახის მძახლის, მრავალი დადებითი თვისებების მქონე პიროვნების


ანზორ ჩხარაულის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მირაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, პეტრე ბერაია, ჯემალ კვიციანი, გულთაზ ლაბარტაძე, ბია სვანიძე, თინათინ უჩანეთიანი, ბესო ძორძია, ვახტანგ ჩიქოვანი.

პატივი მივაგს პრინს ფილიპის სსოვნას

მღინაპრის ჰერცოგის, პრინცი ფილიპის სსოვნას ბრიტანეთის ქალაქებსა და ქვეყნის სამხედრო ბაზებსა და გემებზე ქვემეხების გასროლით მივაგს პატივი.




41-წერ გაისროლეს ლონდონის თაუერიდან და ვულვიჩის სამეფო საზღვაო ქვეითების ბანაკიდან. იგივე რაოდენობის გასროლა შესრულდა გაერთიანებული სამეფოს დანარჩენი ადმინისტრაციული და პოლიტიკური ნაწილების - ედინბურგის, კარდიფის, ბელფასტის ციხეებში განთავსებული ქვემეხებიდან. პრინცი ფილიპს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე მსახურობდა, პატივი მივაგს დევენპორტის და პორტსმუთის სამხედრო-საზღვაო ბაზებზე, გიბრალტარის სამეფო ლეგიონში, ასევე ლია ზღვაში საესკადრო ნაღმოსან „დაიმონდზე“ და ფრეგატ „მონტროსზე“.

პრინცი ფილიპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დიდ ბრიტანეთში გლოვა გამოცხადდა. ქვეყანაში სახელმწიფო დროშები დაშვებულია. ედინბურგის ჰერცოგი, პრინცი ფილიპი 99 წლის ასაკში 9 აპრილს გარდაიცვალა. პრინცი პორველად უინძორის სასახლეში წმინდა გიორგის სამლოცველოში საკუთარი სურვილის საფუძველზე დაკრძალა. ელისაბედ მეორის გარდაცვალების შემდეგ, კი წყვილს გიორგი VI-ის მემორიალურ სამლოცველოში გადაასვენებენ. აქა დაკრძალული დედოფლის უმცროსი და მარგარეტი. ბრიტანეთის დედოფალი უინძორის სასახლეში ქმრის საარცხევლთან იმყოფებოდა. ფილიპმა უარი თქვა კლინიკაში გადაყვანაზე და მშვიდად გარდაიცვალა 100 წლის იუბილემდე ორი თვით ადრე.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

მეუფე იაკობი: რა უფლება გექვთ, პატრიარქს რომ ეპრძეოთ!..



ბოღბოლი ეპისკოპოსი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულ ანტიკამპანიას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და განმარტა, რომ მათი ეს ქმედება საქართველოს დაშლისკენ არის მიმართული.

„ყველა ფრთხილად უნდა იყოს! რა უკეთესია ცხოვრებაში ისეთი, რომ პატრიარქს ებრძვიან. ეს ორატორიანი ლაპარაკი, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ცოტა დაფიქრდნენ, აირჩიონ - ღმერთთან დგანან თუ მატყუარებთან, იმიტომ, რომ უკომპრომიზოები ვიქნებით მერე ავტორიტეტიც აღარ არსებობს და ყველას მივხედება. ერთობა ნამდვილი ვიცი და ძალით ერთობა არ გამოგია.“

ჩვენს პატრიარქს ღმერთმა მეტი გამძლეობა მისცეს, სულიერად ძალიან ძლიერად არის. ფიზიკურად ვხედავთ, რომ იმდენს ლოცულობს ჩვენთვის, რომ რამდენი წელია, ხორციელ ტკივილშია, რომ გვიყურებს ასე, სულიერი ტკივილითან ერთად ხორციელი სწულუბაც აქვს... მადლობა უფალს, არასდროს არ მივეუტოვებვართ და დღესაც, 44-ე წელია მწყმსაგს ჩვენს ერს, რამდენი რამე გადაიტანა თვითონ, რომ ამ გზაზე მოვეყვანეთ. ეკლესია, რომ ჩაიბარა, ამდენი მრევლიც არ იყო მაშინ, გაგვზარდა და არ ვაფასებთ. ღმერთი, ვინც დასაფასებელია, ყველას დააფასებს. ეკლესიას იმიტომ ებრძვიან, რომ ადვილად დაშალონ საქართველო, ამის დაგეგმვა აქვთ. გაივლის ეს დღეები, ან შეინანებენ, ან არადა ნახავენ ღვთის ძალას“...

„ალფას“ ასეულის სპეციალური სნაპლუბა პაზიანის პოლიგონზე

საბარტმელოს თავდაცვის ძალების მე-4 მექანიზებული ბრიგადის 43-ე ქვეითი ბატალიონის „ალფა“ ასეულმა ასეულის დონის სიტუაციური სავსე სწავლება დაასრულა. დასკვნითი შემაჯამებელი წვრთნები ვაზიანის პოლიგონზე საბრძოლო სროლებით განხორციელდა.

სწავლება ოთხ ფაზად ჩატარდა, რომელიც მომზადებას, გადაადგილებას, აღსრულებას, კონსოლიდაციასა და რეორგანიზაციას მოიცავდა. შემაჯამებელ წვრთნებში ტაქტიკური მარში, თავმოყრის რაიონის დაკავება, პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლის ინტეგრირება, ცეცხლით მხარდაჭერა, დაშავებულის ევაკუაცია და ჩასაფრება განხორციელდა. საბრძოლო სროლებში მონაწილეობა 43-ე ბატალიონის ალფა ასეულმა, სატანკო ოცეულმა, 82 მმ ნაღმმტყორცნელთა ოცეულმა, ჰაერსაწინააღმდეგო ასეულმა, კავშირგაბმულობისა და სამედიცინო ჯგუფებმა მიიღეს. ორკვირიანი წვრთნების მიზანი ქვედანაყოფში საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, საბრძოლო ელემენტების ურთიერთშერწყმა და კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა იყო.



მღინაპრე ალგოთი ნაკადულის კალმახის 50 000-მდე ლარკით დათმავნიანდა

ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტებმა ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნაკადულის კალმახის 50 000-მდე ლარკი გაუშვეს. ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მღინარის კალმახის ინკუბირებული ქვირითისა და ლარკის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მონაცვლადი სახეობის მომრავლებას და ზრდის ბუნებრივად გამოჩვევის პროცენტს. ქვირითი ნაყოფიერდება ხელოვნურად, გამოჩვევამდე მღინარის ინკუბატორში თავსდება და წყლის მდორე უბებში ეწყობა.

„ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს საშენში, ყოველწლიურად, ნახევარი მილიონი მღინარის კალმახის სხვადასხვა აუზის პოპულაციის ლიფსიტას წარმოება ხდება.“

სახეობების გამრავლების ხელშეწყობის აღნიშნული მეთოდი ევროპის არაერთ ქვეყანაშია აპრობირებული, რადგან ასე გამოჩვეული ლიფსიტი ველურ ბუნებას ჩვეულებრივად ეგუება.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექსი ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3

კოლორი ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა სახურადლეო! რედაქციის მიერ შუამავთავი მასალაში დაიგეგმება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქალაქა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტაზე პასუხს ავთავან ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 აპრილს

Table with 2 columns: Service Name and Phone Number. Includes services like 'საქართველოს რესპუბლიკის' and 'საქართველოს რესპუბლიკის'.

Table with 2 columns: Service Name and Price. Includes services like 'საქართველოს რესპუბლიკის' and 'საქართველოს რესპუბლიკის'.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge